პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 49 (13170) | კვირა, 28 თებერვალი 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

მისასალმებელი დეპეშები

საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების და ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის შეთანხმების დადების 19 წლისთავის გამო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებმა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწეებმა ერთმანეთს გაუგზავნეს მისასალმებელი დეპეშები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიკოიანმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა დეპეშა გაუგზავნეს მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ი. ცედენბალსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ჟ. სამბუს. დეპეშაში აღნიშნულია, რომ ხელშეკრულება და შეთანხმება დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ნიშანსვეტი იყო სსრ კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისა და განვითარებაში.

ამხანაგებმა ი. ცედენბალმა და ჟ. სამბუმ დეპეშა გამოუგზავნეს ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ა. ი. მიკოიანსა და ა. ნ. კოსიგინს. დეპეშაში აღნიშნულია, რომ ხელშეკრულებისა და შეთანხმების დადებამ განამტკიცა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ურღვევი მეგობრობის, ძმობის, ყოველმხრივი თანამშრომლობისა და უანგარო ურთიერთდახმარების განვითარების ისტორიული შედეგები.



ნ. ჩხეიძე

მასწავლებელი

მასწავლებელი, ისევე როგორც მშობელი, არასოდეს არ ამოდის ადამიანის მეხსიერებიდან. საყვარელი მასწავლებელი უხლავად თან გვდევს მთელი ჩვენი სიცოცხლის მანძილზე. მშობლებისაგან მონიჭებული სიცოცხლით და მასწავლებლის მიერ ჩანერგილი ცოდნით მიიკვლევს გზას ადამიანი. ყველას ჰყავს თუ ჰყოლია მშობლები, ასევე — მასწავლებელიც. მას ყოველი ჩვენგანის ათვის ყველაზე ძვირფასთან — ბავშვთან აქვს საქმე. ასწავლის ანბანს, აძლევს ცოდნას, არა მარტო ასწავლის და ცოდნას აძლევს, არამედ აღზრდის მას, აყალიბებს სრულფასოვან ადამიანად, უღვიძებს ინტერესს შრომისა და სწავლისადმი, უნერგავს სიძულვილს ყოველივე ცუდისადმი და სიყვარულს კეთილისადმი, და კეთილკაცთმოყვარე ადამიანად ზრდის ბავშვს.

ფასდაუდებელია მასწავლებლის შრომა, იგი უფრო დაძაბული, სათუთი და ფაქიზია, ვიდრე ალმასის მთლელისა, რადგან მასწავლებელმა შეუპოვარი შრომით უნდა „ძერწოს“ კეთილშობილური, ჰუმანური სული ნორჩი, მოზარდი ადამიანისა.

პედაგოგის პროფესია რთული და თავისებურია. მის ყოველ ახალახსნილ გაკვეთილს მანამდე შეუცნობელ სამყაროში შეჰყავს ბავშვი; ცოდნის ყოველი მარცვალი, რომელსაც მასში მასწავლებელი ჩათესავს, ახალ აღმოჩენას უდრის ბავშვისათვის.

შემთხვევითი არ არის, რომ მკითხველის ყურადღებას ვაჩერებთ ნორჩი თაობის ერთ-ერთ ასეთ საუკეთესო აღმზრდელ მასწავლებელზე, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის 53-ე საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელ ნინო ჩხეიძეზე. ოცი წელიწადია იგი ამ სკოლაში ასწავლის (მანამდე ცხრა წელიწადი სხვა სკოლაში ასწავლიდა) და სულ ცოტა ათი ათას ბავშვს გაუვლია მის ხელში. ათი ათასი პირველკლასელი! მას არ მოაგონდება თავისი ისეთი პირველკლასელი, რომელიც ბოლომდე არ მიჰყოლოდა სწავლას, არ დაემთავრებინა საშუალო სახლოვანი მასწავლებელი. იგი ერთნაირი გულისხმიერებით ადევნებს თვალყურს სკოლამდელ ბავშვებს — მისი კლასის მომავალ შვილებას და მისი ბუდიდან აფრენილ ბავშვებსაც, რომლებიც შემდეგ კლასებში განაგრძობენ სწავლას.

თავის აღსაზრდელ პირველ-მეორეკლასელებთან ნინო ჩხეიძეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, აქვს დაძაბული შინაგანი ფსიქოლოგიური ომი და ამ ომიდან მუდამ გამარჯვებული გამოდის, რადგან ოსტატობით იერება ხოლმე ბავშვის სულიერ სამყაროში და იმორჩილებს მის ფიქრებსა და მისწრაფებებს, პატარა მეგობრად იხდის მას. სწავლება მისთვის არის არა მარტო ცოდნის გადაცემა, არამედ აღზრდის მთელი პროცესი.

— გამომრეკია კლასში, — ამბობს ნინო, —ბავშვი, რომელსაც დედა ავად ჰყოლია. მაგრამ მას მაინც ეზოში უდარდელად უთამაშნია, მაშინ როცა მეორეს ასეთ შემთხვევაში თვალში ცრემლი მორეკია. პირველი ძნელად, მეორე კი ადვილად აღსაზრდელთა ჯგუფებს უნდა მივაკუთვნოთ. დედისა და მამის მოყვარული ბავშვი დავალებას უკეთ ასრულებს. ბავშვს ჯერ დედა და მამა უყვარს, ხოლო შემდეგ, დამსახურებისამებრ, მასწავლებელს გადმოეცემა ეს სიყვარული! — ეს ნინო ჩხეიძის მრავალი წლის პედაგოგიური გამოცდილებით არის ნაკარნახევი.



— არიან გაკვეთილისადმი ცუდად განწყობილი ბავშვები. მათი დაყოლიება მასწავლებელს უთუოდ შეუძლია, როცა თვითეულს ინდივიდუალურად და პედაგოგიური დახელოვნებით მიუდგება! — და ნინო ამის დასადასტურებლად იხსენებს მრავალ საინტერესო დეტალს თავისი მუშაობიდან. მას შეუცდომლად შეუძლია ერთიმეორისაგან განასხვავოს პირველ კლასში ხბავშვო ბაღიდან თუ ოჯახიდან მოსული ბავშვები, იცნობს თვითეული მათგანის ქცევის, ინტერესების, უნარის თავისებურებებს და ორივე კონტინგენტთან ღრმა პედაგოგიური მუშაობით მალე. იღებს ერთ მწყობრ, შეხმატკბილებულ, ცოდნის შეძენით დაინტერესებულ კლასს.

საამაყოა იყო მასწავლებელი, ადამიანის აღმზრდელი, სამშობლოს ხალხის მსახური პედაგოგიურ სარბიელზე. ჩვენი რესპუბლიკის სამოცი ათასზე მეტი მასწავლებელი ეწევა ახალი ადამიანის აღზრდის საპატიო უღელს მათ შორის ორი ათასზე მეტი — საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდებას ატარებს. თვითეული მათგანი ღირსია, რომ მასზე დაიწეროს, მისი კეთილშობილური შრომა ქვეყანამ გაიგოს. თბილისის 28-ე საშუალო სკოლის პედაგოგი ნიკოლოზ ჯაფარიძე, ფოთის 1-ლი საშუალო სკოლისა — თინათინ ჭოჭუა, ქუთაისის მესამე საშუალო სკოლისა — ევა ჩარკვიანი და ვინ მოთვლის კიდევ იმათ ვის სახელებსაც გულით ატარებენ ათეულ ათასობით აღზრდილები და აღსაზრდელები. მადლიერმა ხალხმა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად დასახელა არაერთი მოწინავე პედაგოგი, მათ შორის თამარ შერვაშიძე, გრიგოლ კობახიძე, ქეთევან ჩიჩუა — თბილისის საკალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად; ლიანა კოსტავა — ქუთაისის საქალაქო საბჭოს, ნინო მარჯანაძე — ყვარლის რაიონსაბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად.

ხალხს უყვარს მასწავლებელი, აფასებს მის კეთილშობილურ პროფესიას; მასწავლებელი ემსახურება კომუნისტურად შეგნებული და დიდად განათლებული ადამიანების აღზრდისა და მომზადების საქმეს. ფრომლისოდაც შეუძლებელია კომუნიზმზე გადასვლა. ამ მხრივ სკოლა მასწავლებელი პარტიის ერთგული თანაშემწენი არიან. სახალხო განათლების კომუნისტურ სისტემას სწორედ ამიტომ უდევს საფუძვლად ბავშვთა საზოგადოებრივი აღზრდა.

ჩვენი პარტიის პროგრამაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი საშუალო სკოლის ამოცანები:

„საშუალო განათლება უნდა უზრუნველყოფდეს მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნას, კომუნისტური მსოფლმხედველობის პრინციპების შეთვისებას, შრომითს და პოლიტექნიკურ მომზადებას მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გაზრდილი დონის შესაბამისად. საზოგადოების მოთხოვნილებათა, მოსწავლეთა უნარისა და სურვილის, გათვალისწინებით, აგრეთვე ჯანსაღი მოზარდი თაობის ზნეობრივ, ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდას“.

პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა, სამეურნეო პროფკავშირული ორგანოების შეუნელებელ ზრუნვას მოითხოვს სკოლა, მასწავლებელი. ეს ითქმის, კერძოდ, სოფლის მასწავლებლებზე. დასამალავი არ არის, რომ ზოგან, განსაკუთრებით შორეულ სოფლებში, მასწავლებლებს შექმნილი არა აქვთ შრომისა და ცხოვრების ჯეროვანი პირობები. გვიყვარდეს მასწავლებელი, ჩვენი ნორჩი თაობის აღმზრდელი, პატივს ვცემდეთ მას და ხელს ვუწყობდეთ დიდ და კეთილშობილურ საქმეში!

საზოგადოებრიობა სკოლის აქტიური თანაშემწე უნდა იყოს ბავშვთა აღზრდაში. აღზრდის მთელ პროცესში კი, უნდა გვახსოვდეს, მთავარ ფიგურას მასწავლებელი წარმოადგენს, და მას მზრუნველობა არ უნდა მოვაკლოთ. მასწავლებელი უნერგავს ბავშვებს ცოდნის სიყვარულს, სიბეჯითეს ცოდნის დაუფლებაში. მას მხურვალედ უყვარს ბავშვები და თავისი კეთილშობილური პროფესია. ამიტომაც იმედის თვალით შესცქერიან მას მშობლები და გულით ეუბნებიან — ახალი წარმატებებისათვის, მასწავლებელო, კომუნიზმის მშენებელთა ნორჩი ცვლის სწავლებასა და აღზრდაში!



ლაიფციგის საგაზაფხული ბაზრობაზე

მოსკოვი, 27 თებერვალი. (სკკდსი). დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიწვევით მოსკოვიდან ლაიფციგის საიუბილეო ბაზრობაზე გაემგზავრა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი. დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ბაზრობის საზეიმო გახსნასა და ღონისძიებებში, რაც მიეძღვნება ლაიფციგის ბაზრობის 800 წლისთავს.

ასე ვიზრდეგით

„სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა 1963 წელს“

გამოცემულია „სტატისტიკამ“ გამოუშვა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ მომზადებული მორიგი სტატისტიკური ყოველწლიური „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა 1963 წელს“. ახალი ყოველწლიური 47,5 თაბახია.

მოკლე სტატისტიკურ კრებულში მოცემულ მასალებთან შედარებით, ყოველწლიურში მოყვანილია ბევრად უფრო დეტალური და დაზვრილებითი მონაცემები საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის განვითარების შესახებ. ცალკე გამოყოფილია საკავშირო და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქების, ეროვნული ოკრუგების, აგრეთვე ეკონომიური რაიონების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლები.

ყოველწლიური შეიცავს მონაცემებს სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკის განვითარების შესახებ, სსრ კავშირის ეკონომიური მაჩვენებლების შედარებას ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიურ მაჩვენებლებთან. (საკდესი).

სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები

1957 წელს მოეწყო ხელმოწერა „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტებზე“, რომელიც ათ ტომად გამოვიდა. წიგნებში მოთავსებულია მასალები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დროიდან 1927 წლის ჩათვლით — 4.700-ზე მეტი საბჭოთა და უცხოური დოკუმენტი, რომლებიც ძირითადად სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში ინახება, და თითქმის 1.100 შენიშვნა-განმარტება. ამ დოკუმენტების უმრავლესობა იბეჭდება პირველად.

გაითვალისწინეს რა საბჭოთა ქვეყნის დიპლომატიური დოკუმენტების გამოქვეყნების დიდი მნიშვნელობა, აგრეთვე მეცნიერთა საზოგადოებრიობისა და ცალკეულ მკითხველთა მრავალი სურვილი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული დიპლომატიური დოკუმენტების გამოცემის კომისია და პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობა 1965-1970 წლებში განაგრძობენ „სსრ კავშირის საგარო პოლიტიკის დოკუმენტების“ გამოშვებას მეორე მსოფლიო ომის წინა ხანის დოკუმენტთა ჩათვლით.

დამატებით გამოუშვებენ 10-12 ტომს. ამ ტომებში დაიბეჭდება საბჭოთა სახელმწიფოს დიდმნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური აქტები, საბჭოთა ელჩების ბევრი მოხსენება, რომლებიც წინათ არ დაბეჭდილა, საერთაშორისო კონფერენციებისა და თათბირების მასალები, საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი, სახელმწიფოთა სახელმწიფოებთან, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიმწერა საზღვარგარეთის საგარეო საქმეთა უწყებებთან, დიპლომატებთან და სახელმწიფო მოღვაწეებთან პოლიტიკურ, ეკონომიურ, მეცნიერულ, კულტურულ და სხვა საკითხებზე.

სახალხო სიყვარული

ა. გაიდარის ორდენი გადაეცა მწერლის ოჯახს

საბჭოთა ხალხის მეხსიერებასა და გულში ცოცხლობს მამაცი პატრიოტი და ნიჭიერი მწერალი არკადი გაიდარი. მისი ლიტერატურული გმირობა შეაფასა მილიონობით მკაცრმა მკითხველმა, პატრამ და დიდმა, ხოლო ჯარისკაცური გმირობა ბრძოლის ველზე ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ აღნიშნულია მთავრობის საპატიო ჯილდოთი — სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით.

ჩვენი ხალხის ამ შესანიშნავ შვილზე ფიქრით მოვიდნენ 27 თებერვალს კრემლის სვერდლოვის დარბაზში მოსკოვის მშრომელთა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, საბჭოთა არმიის მეომრები, მწერლები, ჟურნალისტები, მოსკოვის კომკავშირელები და პიონერები. ორდენს, რომლითაც საკედლის შემდეგ დაჯილდოდა არკადი პეტრეს-ძე გაიდარი, დღეს გადასცემენ მის შვილს თემურ გაიდარს.

ცერემონიაზე მოწვეული არიან ა. გაიდარის ნათესავები და ახლობლები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე კითხულობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას ა. გაიდარის დაჯილდოების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ი. მიკოიანი მიუახლოვდა გაიდარის შვილს თემურს და გადასცა მამის ორდენი. თ. გაიდარმა ეს ძვირფასი რელიქვია რომ მიიღო, გულთბილი და გულითადი მადლობა უძღვნა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წლებში მამის გმირობის მაღალი შეფასებისათვის. თემურ გაიდარმა თქვა, რომ ოჯახმა გადაწყვიტა სამრძოლო ჯილდო გადასცეს ა. გაიდარის მუზეუმს ქალაქ კანევში, სადაც დაკრძალულია მწერალი.

შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს მწერალმა ს. ვ. მიხალკოვმა, სრულიად საკავშირო აღკაკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ი. კამშალოვმა, პოლკოვნიკმა ი. ი. დავდოვმა და მოსკოვის № 210 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ს. ნ. იურკოვამ.

სსრ კავშირის მწერალთა, კომკავშირისა და ახალგაზრდობის, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისა და საზოგადოებრიობის სახელით მათ აღნიშნეს, თუ როგორ უყვარს ხალხს არკადი გაიდარი — სამოქალაქო და დიდი სამამული ომის მამაცი ჯარისკაცი, თუ რა კეთილშობილური ადამიანური თვისებები ჰქონდა მას — იგი იყო კეთილი, პატიოსანი, სიცოცხლისმოყვარული, პრინციპული. ორატორებმა აღნიშნეს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის შესანიშნავ წიგნებს ახალგაზრდა თაობის აღზრდისათვის სამშობლოსადმი, კომუნისტური მშენებლობისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

დასასრულ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიკოიანმა გულთბილი სიტყვა წარმოთქვა გაიდარზე — მწერალ-პატრიოტზე, მწერალ-მებრძოლზე. (საკდესი).

არჩევნების შესახებ

ოთხი თვეზე ... კომპარტიის ... ...

საერთაშორისო ცხოვრება

მშვიდობა ვიეტნამს!

ჩეხოსლოვაკია: არ წყდება ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობის საპროტესტო ხმა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის შეერთებული შტატების პროვოკაციული მოქმედების წინააღმდეგ. „ხელები შორს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისაგან“, „ბოლო მოეღოს აგრესიულ ომს სამხრეთ ვიეტნამში“ — ასეთია მთელი ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნა. საპროტესტო მიტინგები გაიმართა პრაღის, ბრატისლავის, ბრნოს ბევრ საწარმოში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. რესპუბლიკის მეცნიერ მუშაკთა პროფკავშირმა თავისი 100 ათასი წევრის სახელით მოწოდებით მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიიღოს ღონისძიებანი, რათა შეწყდეს სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ინტერვენცია.

ამ დღეებში რესპუბლიკაში მიმდინარეობს მრავალრიცხოვანი კრებები, რომლებიც განცხადებებსა და რეზოლუციებში გადაჭრით გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ მოქმედებას და სოლიდარობას უცხადებენ ვიეტნამელ ხალხს.

შვეიცარია. გაზეთმა „ნიუ დაგმა“ გამოაქვეყნა სტუდენტთა ორგანიზაციის „კლარტეს“ საპროტესტო განცხადება ვიეტნამში ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ. განცხადებაში, კერძოდ, ხაზგასმულია: „მოვითხოვთ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ საომარი მოქმედება ჩრდილოეთ ვიეტნამის წინააღმდეგ“. ანალოგიური პროტესტი განაცხადა აგრეთვე შვეიცის ახალგაზრდობის სოციალ-დემოკრატიულმა კავშირმა.

ინგლისი. ლეიბორისტული და ლიბერალური პარტიის პარლამენტის დეპუტატთა ჯგუფმა განცხადება გააკეთა, რომელშიც აღნიშნულია, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ იქნეს მოწვეული ჟენევის კონფერენცია ვიეტნამის საკითხზე ამ ქვეყნის პრობლემების პოლიტიკური გადაჭრის მიზნით. დეპუტატებმა მოუწოდეს ინგლისის მთავრობას, რათა ინიციატივა გამოიჩინოს სამხრეთ ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და ჟენევის კონფერენციის მოწვევის საქმეში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, საფრანგეთის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამის მთავრობათა წარმომადგენლები.

ინდოეთი: ინდოეთი სერიოზულად არის შეშფოთებული ვიეტნამში მოვლენების ხაშიში განვითარების გამო. განაცხადა ინდოეთის პარლამენტის ზედა პალატაში საგარეო საქმეთა მინისტრმა სვარან სინგჰმა. ჩვენ წინააღმდეგი ვართ, ყოველგვარი ჩარევისა ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში. ინდოეთის პოზიცია ვიეტნამის პრობლემის მიმართ, აღნიშნა მინისტრმა, ემთხვევა საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, კამბოჯისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების პოზიციას. (საკდესი).

ბნელეთის მოციქულნი დამარცხდნენ

პარიზი, 26 თებერვალი. (საკდესი). დღეს მადრიდიდან გამამხნევებელი ცნობა მოვიდა: ესპანეთის ინფორმაციის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ევრეთწოდებული „ესპანეთის სამხედრო კანონმდებლობაში ხანდაზმულობის შესახებ დებულების“ საფუძველზე გაუქმდა „ხუსტო ლოპეს დე ლა ფუენტეს საქმე“. ამას იტყობინება ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი.

საკდესის კომენტატორი ლ. ბობროვი გვწერს:

ის, რომ ფრანკისტულმა სამხედრო ხელისუფლებმა უარი თქვეს მამაცი ესპანელი პატრიოტის გასამართლებაზე, რისთვისაც გაძლიერებით ემზადებოდნენ, სრულიადაც არ არის ნაკარნახევი შინდა იურიდიული მოსაზრებებით. გენა პროკურორი, რომელიც სიკვდილის განაჩენს მოითხოვდა ხუსტო ლოპესისათვის ხუთი მუხლის თანახმად „ომის დროს ჩადენილი მოქმედებისათვის“, წინადღით არ იკვეხნიდა „ბოლო მოეღო ამ საქმისათვის“? იმავე „დებულების ხანდაზმულობის შესახებ“ ვერ შეაჩერა ჯალათები ორიოდე წლის წინათ, როცა მათ იმავე ბრალდების საფუძველზე სიკვდილით დასაჯეს გმირი კომუნისტი ხულიან გრიმაუ.

ესპანეთის კომუნისტური პარტიის ეტერანის ხუსტო ლოპეს დე ლა ფუენტეს თავზე შემართული ჯალათის ნაჯახი უკუაგდო მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობის მძლავრმა პროტესტმა, დემოკრატიული პრესის მამხილებელმა გამოსვლებმა, გმირი ესპანელი ხალხის ყველა კეშმარიტი მეგობრის მტკიცე მოთხოვნებმა. მთელ მსოფლიოში გაისმა ესპანელი ხალხის ლეგენდარული შვილის — ესპანეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის დოლორეს იბარურის ვეჟა�ური ხმა. როგორც პრესა წერს, მადრიდის ოფიციალური წრეები შეაშფოთა დოლორეს იბარურის გადაწყვეტილებამ, რომ იგი მოწმედ გამოვა ხუსტო ლოპესის პროცესზე.

ფრანკო იძულებული გახდა უკან დაეხია. უდავოა, ეს ფაშისტური ბნელეთის წინააღმდეგ ყველა მებრძოლის დიდი გამარჯვებაა. მაგრამ ესპანელი ხალხი, მთელი მსოფლიოს ხალხები, რომლებიც მზარს უქერენ ესპანელთა სამართლიან განმათავისუფლებელ ბრძოლას, ამას ვერ დასჯერდებიან.

ხუსტო ლოპესი იცოცხლეს, მაგრამ „იცოცხლეს“ მადრიდის „კრანანჩელის საპატიმროში. მას 23 წლის პატიმრობა აქვს მისჯილი! და იგი ერთადერთი რიდია. ფაშისტურ დილეგებში ყველაზედ ბუნებრივად იტანჯება ათასობით პოლიტიკური პატიმარი ანტიფაშისტი. ყოველდღიურად ძლიერდება ბრძოლა მათი განთავისუფლებისათვის, მთელი ესპანეთის განთავისუფლებისათვის ფაშისტური დიქტატურისაგან.

ჰოლანდიის მთავრობა გადადგა

ჰაგა, 27 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ჰოლანდიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება რომ გადადგეს.

ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრმა ვ. მარეინენმა კაბინეტის სპეციალური სხდომის შემდეგ განაცხადა, რომ მთავრობის გადადგომის მიზეზია უთანხმოება საშინაო პოლიტიკის მთელ რიგ საკითხებში.

ტორეზის ერთი წერილი

მორის ტორეზმა, მოულოდნელ, უდროო სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე, წერილი გამოუგზავნა საბჭოთა ისტორიკოსს ვ. მ. დალინს. ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ვიქტორ დალინი რამდენიმე წლის განმავლობაში სწავლობდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში დიდი ფრანგი რევოლუციონერის, „თანასწორთა მოძრაობის“ ორგანიზატორის ბრაკქ ბაბეფის ხელნაწერ არქივს. მან დაწერა წიგნი ბაბეფზე და მიძღვნით გაუგზავნა მორის ტორეზს. ტორეზი, მიუხედავად იმისა, რომ მეტად დატვირთული იყო, — იმხანად გამლილი იყო მზადება საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XII ყრილობისათვის, — სწრაფად გამოეხმაურა ამ სიტყვას.

ტორეზის წერილი შეიცავს ძალიან საინტერესო შენიშვნებს კაპიტალისტური მანუფაქტურის განვითარების ხასიათზე, მის კავშირზე სოფლის მეურნეობის განვითარებასთან და გლეხობის დიფერენციაციის დონესთან.

თუ რა მომთხოვნი და ყურადღებიანი მკითხველი იყო ტორეზი, ამას მოწმობს მისი შენიშვნებიც ფლანდრიის XI-XII საუკუნეების ეკონომიურ ისტორიაზე და ისეთი, თითქოს წვრილმანი, უზუსტობის გასწორება. როგორც ვიცით, ტორეზი ... [illegible] ... ნაცვლად სომისა.

ტორეზი ვარაუდობდა, რომ წიგნის წაკითხვას დაამთავრებდა გასული წლის ზაფხულში შავი ზღვის ნაპირებზე. სამწუხაროდ, მისი სიცოცხლე სწორედ ამ მოგზაურობის დროს შეწყდა, ამ დღეს, როცა იგი, წიგნის მგზნებარე სიყვარულით, რაც მას ახასიათებდა, გატაცებით კითხულობდა ფრანგი კომუნისტი მწერლის ანდრე ვიურმსერის გამოკვლევას ონორე ბალზაკზე.

მორის ტორეზი — თვითნასწავლი მუშა, რომელიც კულტურის უმაღლეს წვეტრვალებამდე ამაღლდა, იყო საფრანგეთის უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე, საფრანგეთის პოლიტიკარიატის ნამდვილი ბელადი, ჰუმანისტი, ინტერესთა უფართოესი წრის მქონე ადამიანი. მისი ხასიათ აღდგენას ხელს უწყობს ქვემოთ გამოქვეყნებული წერილიც.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია. გენერალური მდივანი.

1964 წ. 13 აპრილი.

ძვირფასო ამხანაგო დალინ!

ძმურ მადლობას გიძღვნით, თქვენი ბაბეფი რომ გამომიგზავნეთ. კითხვა დავიწყე, მაგრამ ვატყობ, რომ ვერ დავამთავრებ ჩვენს ყრილობამდე, რომელიც ოთხი კვირის შემდეგ გაიმართება და ძალიან ბევრ დროს მართმევს. წავიკითხავ შავი ზღვის ნაპირზე, უსწორესი შვებულების დროს. მაგრამ მინდა ასლავე გიძღვნათ მადლობა და მოგილოცოთ. პირველი სამი თავი გატაცებით იკითხება. თქვენ ერთბაშად არკვევთ — და, ჩემი აზრით, სავსებით სწორად, — თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ბაბეფის იდეების ფორმირებისათვის მის მოღვაწეობას „კადასტრების“ შედგენაზე და იმას, რომ იგი პრაქტიკულად იცნობდა შედარებით განვითარებული მიწათმოქმედების ვითარებაში უკვე საკმაოდ დიფერენცირებული გლეხობის არსებობის პირობებს. ამასთან დაკავშირებით სწორად მიმაჩნია იმისათვის ხაზის გასმა, რომ სოფლის მრეწველობის განვითარება არც ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის შედეგი ყოფილა და არც ნიადაგის უნაყოფობისა: პირიქით, მრეწველობა, მაგრამ, „უზუსტობის გასწორება“, როგორც ... [illegible] ... თვის ნაცვლად სომისა.

ტორეზი ვარაუდობდა, რომ წიგნის წაკითხვას დაამთავრებდა გასული წლის ზაფხულში შავი ზღვის ნაპირებზე. სამწუხაროდ, მისი სიცოცხლე სწორედ ამ მოგზაურობის დროს შეწყდა, ამ დღეს, როცა იგი, წიგნის მგზნებარე სიყვარულით, რაც მას ახასიათებდა, გატაცებით კითხულობდა ფრანგი კომუნისტი მწერლის ანდრე ვიურმსერის გამოკვლევას ონორე ბალზაკზე.

მორის ტორეზი — თვითნასწავლი მუშა, რომელიც კულტურის უმაღლეს წვეტრვალებამდე ამაღლდა, იყო საფრანგეთის უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე, საფრანგეთის პოლიტკარიატის ნამდვილი ბელადი, ჰუმანისტი, ინტერესთა უფართოესი წრის მქონე ადამიანი. მისი ხასიათ აღდგენას ხელს უწყობს ქვემოთ გამოქვეყნებული წერილიც.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია. გენერალური მდივანი.

1964 წ. 13 აპრილი.

ძვირფასო ამხანაგო დალინ!

ძმურ მადლობას გიძღვნით, თქვენი ბაბეფი რომ გამომიგზავნეთ. კითხვა დავიწყე, მაგრამ ვატყობ, რომ ვერ დავამთავრებ ჩვენს ყრილობამდე, რომელიც ოთხი კვირის შემდეგ გაიმართება და ძალიან ბევრ დროს მართმევს. წავიკითხავ შავი ზღვის ნაპირზე, უსწორესი შვებულების დროს. მაგრამ მინდა ასლავე გიძღვნათ მადლობა და მოგილოცოთ. პირველი სამი თავი გატაცებით იკითხება. თქვენ ერთბაშად არკვევთ — და, ჩემი აზრით, სავსებით სწორად, — თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ბაბეფის იდეების ფორმირებისათვის მის მოღვაწეობას „კადასტრების“ შედგენაზე და იმას, რომ იგი პრაქტიკულად იცნობდა შედარებით განვითარებული მიწათმოქმედების ვითარებაში უკვე საკმაოდ დიფერენცირებული გლეხობის არსებობის პირობებს. ამასთან დაკავშირებით სწორად მიმაჩნია იმისათვის ხაზის გასმა, რომ სოფლის მრეწველობის განვითარება არც ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის შედეგი ყოფილა და არც ნიადაგის უნაყოფობისა: პირიქით, მრეწველობა,

ომის ვეტერანთა საკავშირო კონფერენცია

მოსკოვი, 26 თებერვალი. (საკდესის კორ.). ომის ვეტერანთა მეორე სრულიად საკავშირო კონფერენციაზე დღეს განაგრძობდნენ საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თავმჯდომარის საბჭოთა კავშირის მარშლის ს. კ. ტიმოშენკოს საანგარიშო მოხსენებისა და სხვა მოხსენებების განხილვას.

საბჭოთა კავშირის გმირმა გენერალ-ლეიტენანტმა ვ. ნ. ჯანჯღავამ განაცხადა, რომ ქართველი ხალხი მრისხანე პროტესტს აცხადებს ბონელ ხელისუფალთა საზიზღარი განზრახვის წინააღმდეგ — გამოაცხადონ ფაშისტი ჯალათების ამხილება. ორატორი მხურვალედ მიესალმა იმას, რომ რესპუბლიკებში, ზოგიერთ მხარესა და ოლქში შეიქნა ომის ვეტერანთა სექციები.

კონფერენციის მონაწილეთა ტაშის გრიალში ყაზახმა მწერალმა დ. ფ. სნეგინ-პოცელუევმა, რომელიც 1941 წელს მოსკოვის ახლო მისადგომებთან იბრძოდა პანფილოვის დივიზიის რიგებში, გამოთქვა სურვილი, რომ გამარჯვების დღისათვის მოსკოვის ერთ-ერთ მოედანზე ბინოს მარადიული დიდების ცეცხლი. ეს იქნებოდა, თქვა მან, დიდი პატივისცემის გამოხატულება იმათი ხსოვნისადმი, ვინც მოსკოვის მისადგომებთან დაეცა. მწერალ ს. ს. სმირნოვის აზრით, ძეგლი მარადიული ცეცხლით უნდა აიგოს მანეჟის მოედანზე, რომელსაც გამარჯვების მოედანი უნდა ეწოდოს.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის გმირი ნ. ვ. პოპოვა, საბჭოთა კავშირის გმირი ა. ნ. საბუროვი, ლეიტენანტი მ. ფ. კუმანინი, თადარიგის კონტრ-ადმირალი ნ. პ. ზარემბო და სხვები.

კონფერენციის მონაწილეებმა მოუწოდეს ყველა საზღვარგარეთელ ომის ვეტერანს გააერთიანონ ძალები ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის საშიში გეგმების წინააღმდეგ, იმის წინააღმდეგ, რომ დასავლეთგერმანელი ხელისუფლები ცდილობენ სამხრეთიანი სასჯელისაგან იხსნან ჰიტლერელი სამხედრო დამნაშავეები. საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა მოწოდებაში ნაოქვამია აგრეთვე, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა, რათა აიკრძალოს ამერიკის შეერთებული შტატების საშიში პროვოკაციები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, გაყვანილ იქნეს უცხოთის ჯარები სხვისი ტერიტორიებიდან და ლიკვიდირებულ იქნეს სამხედრო ბაზები, გაძლიერდეს ბრძოლა საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის.

კონფერენციის მონაწილეებმა სპეციალურ განცხადებაში დაგმეს ამერიკის იმპერიალისტთა დანაშაულებრივი მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. საბერძნეთის პრემიერ-მინისტრს გაუგზავნეს პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ იქ დევნიან და აპატიმრებენ საპრეზიდიუმის წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიურ მონაწილეებს.

კონფერენციამ მიიღო შესაბამისი დადგენილება და ცვლილებანი შეიტანა კომიტეტის წესდებაში.

კონფერენციის მონაწილეებმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს.

არჩეულია კომიტეტის ახალი შემადგენლობა, რომელშიც შევიდნენ თვალსაჩინო მხედართმთავრები და ომის გმირები.

ამით კონფერენციამ დაამთავრა მუშაობა.

გაიმართა პლენუმი, რომელმაც დაამტკიცა საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა პრეზიდიუმი. თავმჯდომარედ არჩეულია ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. კ. ტიმოშენკო, პასუხისმგებელ მდივნად — საბჭოთა კავშირის გმირი ა. პ. მარსიეევი.

(საკდესი).

ამერიკის შეერთებული შტატების სამ ხედრო-საჰაერო ძალების პილოტი რობერტ შომეიკერი, რომელიც ტყვედ ჩაიგდო ვიეტნამის სახალხო არმიამ. იგი ბომბავდა და ტყვიას უშენდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიას.

ფოტო ვია-საკდესისა.

დიდი მოწოდება

ნიუ-იორკი, 27 თებერვალი. (საკდესი). „სასიამოვნო იყო ამის გაგება, რომ თქვენში ჯანმრთელობის დაცვის ასეთი შესანიშნავი სამსახურია. მომწონს, რომ ამდენ ყურადღებას უთმობთ დაავადებათა პროფილაქტიკას“, — ჩაწერა ექიმმა ა. ვ. პურსელმა საბჭოთა კავშირის სამედიცინო გამოფენის „ჯანმრთელობის დაცვა სსრ კავშირში“ შთაბეჭდილებათა წიგნში. ეს გამოფენა გაიხსნა ცინცინატიში (ოჰაიოს შტატი).

ცინცინატი ამერიკის მესამე ქალაქია, რომელშიც სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის კულტურული გაცვლის შესახებ შეთანხმების შესაბამისად მოეწყო საბჭოთა მედიცინის მიღწევათა გამოფენა.

„ასეთი გამოფენები უფრო ხშირად უნდა ეწყობოდეს, — წერს შთაბეჭდილებათა წიგნში ჯორჯ ჰამფელდი. — ეს ხელს უწყობს ხალხთა ურთიერთგაგებასა და მშვიდობას. გისურვებთ ყოველივე კარგს“.

მენინგერმა ქალაქ ტოპიკიდან (კანზასის შტატი) ჩაწერა: „მადლობას გიძღვნით შესანიშნავი გამოფენისათვის, რომელმაც ასე კარგად დაგვანახვა თქვენი მიდგომა საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობის დაცვისა და კეთილდღეობის გაუმჯობესების პრობლემებისადმი“.

ოლანდიის პრემიერ-მინისტრის დეპეშა

პარიზი, 26 თებერვალი. (საკდესი). ლაოსის პრემიერ-მინისტრმა პრინცმა სუვანა ფუმამ დღეს პარტია ნეო ლაო ხაკ საბის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს პრინც სუფანუვონგს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც მოითხოვს დაუყოვნებლივ განახლდეს ლაოსის სამი დაჯგუფების მოლაპარაკება, იუწყება ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი ვიენტიანიდან.

დეპეშაში, კერძოდ, ნათქვამია: „დადგა დრო მივიღოთ პატიოსანი და კონკრეტული გადაწყვეტილებანი, რათა მოვაწესრიგოთ კარგი ურთიერთობა ლაოსის სამ დაჯგუფებას შორის“.

ყოველი მხრიდან

□ **ინგლისის** თავდაცვის მინისტრი ჰილი პარიზში ჩავიდა. იგი მოლაპარაკებას გამართავს იმის თაობაზე, თუ რამდენად შესაძლებელია განვითარდეს საფრანგეთ-ინგლისის თანამშრომლობა შეიარაღების დარგში.

□ **ადიდებულმა** მდინარემ რიმაკმა, რომელიც კვეთს პერუს დედაქალაქ ლიმას, ასობით სახლი დაანგრია და ათასობით კაცი დატოვა უსახლკაროდ. წყალდიდობის შედეგად დაზარალდა უწინარეს ყოვლისა ღარიბთა უბნების მოსახლეობა.

□ 25 თებერვალს ჩამოაგდეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის რეაქტიული ავიაგამანადგურებელი, რომელიც შევიდა აკრძალულ ზონაში, სადაც რაკეტებს უშვებდნენ. ეს მოხდა სამხედრო-საზღვაო ძალებისა და საზღვაო ქვეითი ჯარის გაერთიანებული მანევრების დროს სამხრეთ კალიფორნიის სანაპიროს რაიონში.

□ **13 კაცი** დაიხოცა და 66 კაცი დაშავდა ძლიერი ქუქა-ქუხილის დროს, რომელიც მოხდა 26 თებერვალს რიო-დე-ჟანეიროში. ქალაქის ზოგიერთ რაიონში შეწყდა ელექტროენერგიის მიწოდება.

მაკნამარას განცხადება

ვაშინგტონი, 27 თებერვალი. (საკდესი). შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა მაკნამარამ გუშინ განაცხადა, რომ შეერთებული შტატები 100 ათასით გაადიდებენ სამხრეთ ვიეტნამის შეიარაღებული ძალების რიცხვს.

ამისათვის კი საჭირო იქნება შეერთებულმა შტატებმა, განაცხადა მინისტრმა, დამატებით გაგზავნონ სამხრეთ ვიეტნამში „რამდენიმე ასეული ახალი სამხედრო მრჩეველი“.

მაკნამარამ თქვა, რომ სამხრეთ ვიეტნამმა დაახლოებით 30 ათასი ჯარისკაცით გაადიდა თავისი რეგულარული არმია გასულ წელს. ამას გარდა, იგი იყენებს ნახევრად სამხედრო პერსონალის კიდევ მეტ კონტინგენტს.

მტკიცე მხარდაჭერა

ბრაზავილი, 27 თებერვალი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის ელჩი ბრაზავილის კონგოში ი. ს. სპიც�ეწვია რესპუბლიკის პრეზიდენტს მასამბადებას და გადასცა სსრ კავშირის მთავრობის განცხადების ტექსტი, რომელშიც ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირი გადაჭრით გმობს იმპერიალისტების ხრიკებს აფრიკის ახალგაზრდა რესპუბლიკის მთავრობისა და ხალხის წინააღმდეგ. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ საბჭოთა კავშირი სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებთან ერთად მტკიცედ დგას ბრაზავილის კონგოს ხალხისა და მთავრობის მხარეზე, რომლებიც გმირულად იცავენ თავიანთი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

მასამბა-დებამ დიდ მადლობას უხდის საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ხალხს მხარდაჭერისათვის. იმპერიალისტები, აღნიშნა მან, გრძნობენ, რომ ნიადაგი ეცლებათ, აფართოებენ ძირგამომთხრელ მოქმედებას ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ და ფართოდ იყენებენ ამისათვის ჩომბეს რეჟიმს. მაგრამ, ხაზი გაუსვა მასამბა-დებამ, ჩვენ უკან არ დავიხევთ და კვლავაც ვიბრძოლებთ სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის.

ლ. ულბრიხტი ასუანში

კაირო, 27 თებერვალი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვალტერ ულბრიხტი, რომელიც პრეზიდენტ ნასერის მოწვევით იმყოფება ოფიციალურ ვიზიტად არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, ასუანში ჩავიდა.

ვალტერ ულბრიხტს მიესალმა ასუანის გუბერნატორი მადკურ აბუ ელეზი. მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეგობრობას, რომელიც მჭიდროდ აკავშირებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე და მისი თანმხლები პირნი გაეცნენ ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობას. ვ. ულბრიხტმა დაათვალიერა მთელი რიგი სამშენებლო მოედნები და ობიექტები კაშხალისა, რომელიც იქმნება საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებით.

ვალტერ ულბრიხტის ვიზიტი კვლავ კიორის პრესის ყურადღების ცენტრშია.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხი დიდი ენთუზიაზმით ხვდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერს, წერს გაზეთი „ახბარ ელიუმი“. ულბრიხტის ვიზიტი, წერს გაზეთი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და დემოკრატიული გერმანიის ურთიერთობის განვითარების ბუნებრივი და აუცილებელი შედეგია. ჩვენი ეკონომიური ურთიერთობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, აღნიშნავს გაზეთი, წლითიწლობით იზრდება. დემოკრატიული გერმანია დახმარებას გვიწევს ყოველგვარი პირობის დაუდებლად და უზეგაგლენოდ.

ეს ზოლიერი იუმორი

წვრთნა

ის იყო ნადირობიდან დაბრუნებული ჯონი თავის ცოლს მიუახლოვდა, რომ ოცდაათიოდე ნაბიჯის დაშორებით შენიშნა ლომი, რომელიც მისკენ ნახტომისათვის ემზადებოდა. მონადირემ მაშინვე ესროლა თოფი, მაგრამ ტყვია აცდინა. მას თავი უკვე განწირულად მიაჩნდა, მაგრამ მოხდა საოცრება, ლომმა ნახტომი ვერ მოზომა და მსხვერპლს თავზე კარგა მოშორებით გადაევლო. მონადირემ შემოხვევით ისარგებლა და თავს უშველა.

მეორე დღეს ჯონი ეზოში მიზანში ზუსტად სროლაში ვარჯიშობდა. უცებ ბრდღვინვა შემოესმა. გადიხედა ღობეს იქით და თვალი მოჰკრა ლომს, რომელიც ზუსტად ხტომაში ვარჯიშობდა.

გამომუშავება...

— **ალბათ** შენს სიცოცხლეში ერთი დოლარიც არ გამოგიმუშავებია, — უთხრა ზიზღით მოსამართლემ მაწანწალას.

— როგორ არა, თქვენს არჩევნებში ხმას ვაძლევდი, — მიუგო მან.

ინტერვიუ

მრმ საღამოს ახალგაზრდა ჟურნალისტი ინტერვიუს ასაღებად მდიდარ ვაჭარს ეწვია. რედაქციას აინტერესებდა, როგორ მიაღწია ამ ვაჭარმა ასეთ სიმდიდრეს.

— ეს საკმაოდ გრძელი ამბავია, — უთხრა ვაჭარმა, — ვიდრე გიამბობდეთ, მოდი სანთელი დავზოგოთ და... ჩავაქროთ.

ანონიმური წერილი

ჯომ ერთ დღეს ანონიმური წერილი მიიღო, რომელშიც ეწერა, თუ ჩემი წიწილების მოპარვას თავს არ დაანებებ, ყელს გამოგჭრიო.

დაბნეულმა ჯომ ეს ამბავი პოლიციელს შესჩივლა.

— მე რა გიშველო? — უთხრა სიცილით პოლიციელმა. — გამოსავალი ის არის, წიწილების მოპარვას თავი დაანებო.

— შენ ვერ გამიგე, — უთხრა ჯომ, აკი გითხარი, წერილი ანონიმურია-მეთქი. რა ვიცი, ვისი წიწილების მოპარვას უნდა დავანებო თავი.



— ჩემო ძვირფასო, მომილოცე! სამსახურში დამაწინაურეს. არა ხასიამოვნოა მხოლოდ ერთი რ.მ. ახლა შეფის ქალიშვილი უნდა შევირთო.

„სანდი ექსპრესის“, ლონდონი.



— რა მოგართვით?

— ნაფოტი, თოკის ნაგლეჯი, ბუზი და ცოტაოდენი მუხუოს წვენი...

ნახატი დასავლეთგერმანულ ყოველკვირეულ ჟურნალ „ბუნტ ილუსტრირტედან“.

ავგაზეთი აქა-მან

ნიუ-იორკი. საკდესის კორესპონდენტი ჰ. ფრიმენი იუწყება:

ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტრომ დღეს გამოაცხადა, რომ დიდმა ჟიურიმ (ორგანომ, რომელიც წყვეტს სამართალში მიცემის საკითხს. — **რედ.**) ვაშინგტონში კვლავ დასდო ბრალად კომუნისტურ პარტიას, რომ უარს ამბობს იუსტიციის სამინისტროს რეგისტრაციაში გატარდეს ყბადაღებული მაკარენის კანონის საფუძველზე. ამ ახალი საბრალდებო დასკვნის მიზანი, უდავოდ, ის არის, რომ საქმე ისე დახატონ, თითქოს კანონიერი იყოს ამერიკის ხელისუფალთა ანტიკომუნისტური კამპანია.

როგორც ცნობილია, 1962 წლის დეკემბერში ზერელე სასამართლო გარჩევის შემდეგ ვაშინგტონში ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტია ცნეს „დამნაშავედ“ მაკარენის კანონის დარღვევაში და მოუსაჯეს ჯარიმა 120 ათასი დოლარის ოდენობით.

მაგრამ უმაღლესი ინსტანციის სასამართლოებმა, მათ შორის უმაღლესმა სასამართლომ გაუქმეს ეს გადაწყვეტილება როგორც უკანონო. უმაღლესი ინსტანციის სასამართლოებმა აღიარეს, რომ თუ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები და წევრები გატარდებოდნენ რეგისტრაციაში მაკარენის კანონის საფუძველზე, შექმნიდნენ შესაძლებლობას გამოეცხადებინათ მათთვის დევნა მეორე დრაკონული ანტიკომუნისტური კანონის — სმიტის კანონის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ხანგრძლივ პატიმრობას „კომუნისტური საქმიანობისათვის“. ეს კი მოასწავებდა უარის თქმას კონსტიტუციურ უფლებაზე არ „დაიბრალოს დანაშული“.

კომუნისტური პარტიის დევნა გრძელდება

უმეტესობა ამერიკის შეერთებულ შტატებში იმ აზრის იყო, რომ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება იმას ნიშნავდა, რომ მთავრობა შეწყვეტდა კომუნისტური პარტიის დევნას რეგისტრაციის შესახებ მაკარენის კანონის დებულებათა საფუძველზე.

თვეც კი არ გასულა პრეზიდენტის შარშანდელი არჩევნების შემდეგ, რომ იუსტიციის სამინისტრომ მოითხოვა და მიაღწია კიდეეაც იმას, რომ დაეწინაურა ახალი სასამართლო პროცესი, იმ ძველი და გაცვეთილი ბრალდების საფუძველზე, რომელსაც, შეიცავს 1962 წლის საბრალდებო დასკვნა. ახალი სასამართლო პროცესი დანიშნულია 1965 წლის 16 მარტს.

განცხადებაში, რომელიც ამ პროცესის თარიღის დანიშვნის შემდეგ გაავრცა, შეერთებული შტატების კომუნისტურმა პარტიამ, აღნიშნულია:

„უგვანო და ბოროტგანზრახული აქტი იუსტიციის სამინისტროსი, რომელმაც გადაწყვიტა მეორედ მისცეს კომუნისტური პარტია სამართალში მაკარენის კანონის საფუძველზე, ნიშნავს ლაჩრულ კაპიტულაციას ცილისწამებისა და მუქარის წინაშე, რასაც ედგარ ჰუვერი და უკიდურესი მემარჯვენეები ბრძოლავენ.

ეს არის გოლდუოტერიზმის აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება ამერიკელ ხალხს. ეს არის იმ წინასაარჩევნო დაპირებათა ღალატი, რომ შექმნიდნენ დემოკრატიულ თავისუფლებებზე დამყარებულ „დიად საზოგადოებას“.

ეს არის წინასწარგანზრახული ცდა დაარღვიონ არჩევნების წინ დადებული პირობა. მაშინ დაგვპირდნენ, რომ ამბილებდნენ და აღმოფხვრიდნენ პოლიტიკურ ხელოვნებათა ანტიდემოკრატიულ უკიდურესად მემარჯვენე ჯგუფებს, ნაცვლად ამ დაპირების შესრულებისა, იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს ახლა სწორედ ამ ჯგუფების პროგრამას“.

მილიონები ვერაგოგის მოსაწყოგად

ვაშინგტონი, 27 თებერვალი. **(საკდესი). შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს სთხოვა 125.9 მილიონი დოლარი გამოიყოს „მშვიდობის კორპუსის“ საქმიანობისათვის 1966 საფინანსო წელს.**

**ამ ორგანიზაციამ, რომელიც ოთხი წლის წინათ შეიქმნა, საზღვარგარეთ უნდა შესრულოს ეგრეთწოდებული „ამერიკული ცხოვრების წესის“ მქადაგებლის როლი. თუ 1962 საფინანსო წელს „მშვიდობის კორპუსის“ საჭიროებებს მოხმარდა 30 მილიონი დოლარი, მომდინარე 1965 საფინანსო წელს ხარჯები შეადგენს 104 მილიონ დოლარს. „მშვიდობის კორპუსის“ 10 ათასი მუშაკი ცდილობს ახლა დაარწმუნოს 46 ქვეყნის მცხო

ვაზის სასაფული

• ნარკვევი

როცა გაზაფხული მოვიდოდა და ქარი ატმის ყვავილებს ძირს დაფენდა, პატარა ბიჭი დედას ეკითხებოდა:

— დედა, დედილო, როდის უნდა მოვიდეს მამა?

დედა ბიჭს ხვევიან, ცნობისმოყვარე თვალებში ჩახედავდა და ეტყოდა:

— მალე, შვილო, მალე!

დიდხანს გრძელდებოდა ასე. ყოველ გაზაფხულზე ეკითხებოდა შვილი, რადგან დედისგან გაგონილი ჰქონდა, მამა გაზაფხულზე ჩამოვალო. ბეღურა გაზაფხულმა გაიარა მას აქეთ, ბევრი ატმის ყვავილი დაფინა ქარმა მიწაზე, მამა კი არ მოდიოდა. დაფიქრდებოდა პატარა, უნდოდა გაეგო რაში იყო საქმე, მაგრამ ჯერ ვერ მიმხვდარიყო ქვეყანაზე მომხდარ ამბებს.

რატომ მალავდა ცრემლებს დედა მის დანახვაზე? რატომ იცვამდა თალხ კაბას?

ხუსხიანი დღეების შემდეგ უცნაურად დათბა თებერვალში. გაზაფხულის მოახლოება პირველად ვაზებმა იგრძნეს. პირველი თბილი დღეების სიჩუმეში გატრუნული მთელი ქვეყანა.

მზე აცხუნებს ფერდობზე გაშენებულ ვენახს. მიწას ოხშივარი ასდის. სოფიო ნაბუჩარაძეც ზვარში გასულა, ვაზებს სხლავს. გადაკრილი ლერწიდან წყალი მოეფონავს. ამას ვაზის ტირილს ეძახიან.

ეს ვაზები მართლა ტირიან, შინმოუსვლელ პატრონს დასტირიან. ყოველ შემთხვევაში სოფიოს ასე სჯერა. ირგვლივ სიჩუმეა, მხოლოდ სასხლავის ჩხაკუნი ისმის. იგი მარტოა და ფიქრებს მიჰყვება.

1934 წელი... მაშინაც გაზაფხული იყო, გვიანი გაზაფხული. სოფიო კოლმეურნეობის ვენახს ფურჩნიდა. მზიანი დღე იყო და ქალი გრძნობდა ზურგიდან, როგორ უახლოვდებოდა მამაკაცის ჩრდილი. არაფერი შეიჩნია, ვითომდა არ დამინახავსო. როცა ქმარმა მხრებზე ხელები მოხვია, განგებ შეიცხადა და სახეზე ალმური მოედო.

ის კი ხარხარებდა, თვალებში მისჩერებოდა სოფიოს. მაშინ ორიოდე თვის შეუღლებულები იყვნენ...

უბრალო ბიჭი იყო ვანო, შრომისმოყვარე და გამრჯე. კოლმეურნეობაში საუკეთესო მეღვინეებად ითვლებოდა. ყოველწლიურად ბარაქიანი მოსავალი მოჰყავდა მოჩხინავე ბრიგადირს.

— ძალიან უყვარდა იმ შავდღისახ ვენახი, — გაბაგრძობს ფიქრს სოფიო, — როგორ უხაროდა, როცა ამ ვენახს რგავდა. გული ხომ არ უთქვამდა... იქნებ ფიქრობდა, ჩემს სამახსოვროდ დავუტოვებ სოფელს ამ ზვრებსო.

მოკლე იყო ბედნიერება. ხუთი-ექვსი წელი მოსიყვარულე ცოლ-ქმრისათვის ადა რა უნდა ყოფილიყო.

1941 წელი.. ქვეყანა შესძრა საბედისწერო ამბავმა. ვანოც სამშობლოს დამცველთა რიგებში გაიწვიეს.

ზაფხულის მყუდრო, ნათელი ღამეა. ღია სარკმლიდან მთვარის შუქი იღვრება ოთახში.

— სოფიო, დაიძინე?

ქალი არაფერს ამბობს, ცდილობს ყელში მომდგარი ქვითინი გულში ჩაიგუბოს.

— იმში ყველა არა კვდება, — განაგრძობს ვანო, — ოჯახს უკაცობა არ დაატყო, ბიჭი არ დამეჩაგროს!

მეორე დილას სოფელი ომში მიმავალთ აცილებდა. მიდიოდნენ ტალიკ-ტალიკი, ჯაფები ბიჭები.

— თუ გიყვარვარ, სოფლის ბოლომდე ნუ გამომყვები, გუნება ვამეფუჭდება! — ეუბნება ვანო მეუღლეს. სოფიოც ალარ ეურჩება.

ვანომ შორიდან მოხედა ბექობზე მდგარ მეუღლეს... შორიდან მოხედა, გაუღიმა და... წავიდა.

პირველად ხშირად მოდიოდა ვანოსაგან სამკუთხა, ჭარისკაცული ბარათები. ხან საიდან, ხან საიდან. ბოლოს იტყობინებოდა: ქერჩში ვარო.

მერე ამაოდ ელოდა ბარათებს სოფიო. გავიდა ერთი წელი, ორი, სამი...

დარდი და ბოლმა შინმოუსვლელზე შვილმა შეუმსუბუქა, ამ ქვეყნად სიცოცხლეს ის უხალისებდა. ის და ეი კიდევ რა: იმ დღიდან ადგა სოფიო და თავისი ქმრის გაშენებული ვენახი თვითონ ჩაიბარა. და მას აქეთ ერთთავად აქ ტრიალებს. ყოველი ვაზი, ყოველი გოჯი მიწისა ვანოს აგონებს. ოცდახუთი წელია მშობელივით დაპკანკალებს თავს. დღეს კი გლდანის საბჭოთა მეურნეობაში მოწინავე ვინ არისო, რომ იკითხოთ, სოფიო ნამურაძეს დაგიახლებენენ.

გავიდა დრო, ომმა ასე თუ ისე დაუყუჩა ტკივილი. გასულ ზამთარს დააქორწინა თავისი ომარი სოფიომ..

გაზაფხული მოდის, და ეს ყველაზე ადრე ვაზებმა იგრძნეს. ამ დროს განსაკუთრებული გრძნობით აგონდება მეუღლე სოფიოს... ცრემლები ბროლის წვეთებად ციმციმებენ დახრილი მზის სხივებზე. ეს ვაზები ტირიან შინმოუსვლელ პატრონს.

ჯ. კობიძე
ს. დემურხანაშვილი

მივლინება მკითხველის თხოვნით

წერილების განყოფილების მუშაკმა კონკერტი გახსნა. გულმოდგინედ ჩაათვალიერა ინსფერი მელნით ნაწერი სტრიქონები.

„პატივცემულო რედაქციავ. — წერდა ავტორი. — იქნებ თქვენ მაინც მიაქციოთ უურადღება. იქნებ თქვენ მაინც დაინტერესდეთ ჩემი წერილით.

საქმე ეხება ჩითახევჰესის ტერიტორიაზე არსებულ კლუბის შენობას. იგი სამსართულიანია. მისი ფართობი 4500 კვადრატული მეტრია. საბალანსე ღირებულება კი, თუ არ ვცდები, 74.000 მანეთი უნდა იყოს. ეს ძვირფასი ნაგებობა წლების მანძილზე უყურადღებოდ არის მიტოვებული. სახურავის დაზიანების შედეგად ოთხივე კუთხეში ჩამოღის წყალი. ჭერიდან ბათქაში ჩამოცვენილა. ინგრევა კედლები. ჩამტვრეულია მინების 70 პროცენტი. ოთახის გასათბობი რადიატორები ყინვისაგან დასკდა. წყალი იატაკზე იღვრება. ამან გამოიწვია პარკეტის დარღვევა და ამოცვენა.

ერთი სიტყვით, შენობა ავარიულ მდგომარეობაშია. ადგილობრივი ხელმძღვანელობა კი არავითარ ზომებს არ იღებს მის გადასარჩენად. გთხოვთ გამოგზავნოთ თქვენი კორესპონდენტი.

ვლადიმერ ციხელაშვილი,
ბორჯომის რაიონი,
ჩითახევჰესის დასახლება“.

ვინც ბორჯომში ყოფილა, ვისაც მისი შემოგარენი დაუთვალიერებია, დამეთანხმება, რომ იგი წელიწადის ყოველ დროს თვალწარმტაცი და მიმზიდველია.

ლიკანის ბუნებას და დასასვენებელ სახლებს რომ შეხედავთ გესიამოვნებათ. აქ ყოველი ბუჩქი, შენობა, ყოველი მტკაცები მიწა თვალისჩინებით არის მოვლილი.

რატომღაც ეჭვი მეპარება ვლადიმერ ციხელაშვილის წერილის სიმართლეში. წარმოუდგენელია, ბუნების ასეთ ზღაპრულ სილამაზეში უყურადღებობის გამო ავარიულ მდგომარეობაში იყოს კაპიტალური შენობა თანაც სამსართულიანი. თუმცა რატომ ვჩქარობ? ნათქვამია, კაცის თავზე ხე არ იყო და ხე ამოვიდაო. რას ვერჩი, იქნებ მართალია ის კაცი...

ძალე ჩითახევჰესის დასახლებაში ვიქნებით და ყოველივე ნათელი გახდება. ჩვენს გვეერდით ყიზულის ღარში ყოველთვის გულმოსული მტკვარი ბუტბუტით მოედინება. მას ზემოდან პიტალო კლდეები დაჰყურებენ. მეორე მხარეს კი უკვე ჩითახევჰესის დასახლებაა. თვალში მხვდება მხიარული შენობების სიკაშკაშე. გეგონებათ ხარაჩოები ახლახან შემოუცლიათო.

გამიხარდა, უპატრონოდ მიტოვებული შენობა რომ ვერსად დავნახე. მაგრამ როცა პარტის ბორჯომის რაიკომის ინსტრუქტორმა ოთარ სტეფაძემ თავის მოძოაობით მანიშნა ეს შენობაო, მის უთქმელადაც ადრეე მიეხვდი, რომ ეს უნდა ყოფილიყო. თვალს არ ვაცილებ დაღრეჩილ სამსართულიან შენობას. მას არ აკლია არც თანამედროვე არქიტექტურა და არც უყურადღებობა. ეროვიც და მეორეც ადამიანის თუ ბუნების წყალობით კარგად მოჩანს მის გახეხებულ, აქა-იქ ჩამონგრეულ კედლებზე.

შენობას თვალი მოვაცილე და აქვე შეკრებილთ ჩითახევჰესის დირექტორს ალექსანდრე მაისურაძეს, სანატორიუმ „ტაკვარის“ მთავარ ექიმს კონსტანტინე ჩორგოლიანს, ვლადიმერ ციხელაშვილს, ჩითახევჰესის ელექტროსადგურის ელექტროსამაქროს ზეინკალს დ. მიქელაძეს და სხვებს გადავხედე. ძნელი სთქმელია, ამ წუთში ვინ რას ფიქრობდა. შეუძლებელია სხვის გულში ჩაიხედო...

ერთი კი ცხადია, ჩვენ არასასიამოვნო ფაქტის წინაშე ვართ. ეს უსიამოვნება კი უფრო გამწვავდა, როცა მრავალტანჯული შენობის სამივე სართულის კუთხე-კუნჭული დავთვალიერეთ, როცა მის ავკარგზე ვისაუბრეთ.

ახლა კი საბოლოოდ დავრწმუნდით ცელიშვილის წერილის სისწორეში, ყოველი ფაქტი ოცელად დადასტურდა. ერთი რამ კი ჭეოჭერობით გაურკვეველია: ვის ეკუთვნის ეს ნაგებობა? ვინ პატრონობსო, ამაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

მივყვეთ საქმის მსვლელობას. არ შეიძლება სიმართლემ თავი არ იჩინოს. ეფიქრობ, ამბავი რომ გასაგები იყოს, საჭიროა იქნება დროის სხვადასხვა მონაკვეთში წარსულში, აწმყოში და მომავალში ვიმოგზაუროთ.

ორი ძიძის ხელში

წარსული თუ გადავხედავთ ასეთია ჩითახევჰესის კლუბის ისტორია... შენობისათვის 1950 წელს შემოუცლია ხარაჩოები. თურმე სახეიმო ვითარებაში გაიხსნა მისი კარი. მეტი ქმაყოფილებით სახარულს ვერ მალავდნენ ჩითახეველები. ყველა მათგანი აღფრთოვანებული იყო ახალი კარგად მოწყობილი კულტურისა და დასვენების კერით. მოდიოდნენ შეზობელი სოფლებიდან — ჭობისხევიდან, დვირიდან. — ჩვენი კლუბი... ეხის წვერზე ეყარა ყოველ მეორე ჩითახეველს.

შენობა თანდათან უკან მიდიოდა, ცვდებოდა, ჩიოდა, კაპიტალურ რემონტს თხოულობდა. სამწუხაროდ, ბილი ჩივილი არავის ესმოდა. თავს არავინ იტკივებდა მისი რემონტისათვის.

დადგა 1955 წლის პირველი დეკემბერი. ამ დღიდან დაიწყო კლუბის შენობის გაუბედურებაც. ამ დღეს ჩითახევჰესის დირექციამ მისი კუთვნილი ორი სამსართულიანი შენობა გადასცა საქართველოს ელექტროსადგურების და ელექტრომრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს.

ეტყობა, გვეერდი ვერ აუარეს და აქეთ გარკვევით აღნიშნეს, კლუბის შენობას კაპიტალური რემონტი ესაჭიროებაო. მაინც არა ეშველარა კლუბის შეკეთებას. არ გამოჩნდა, როგორც იტყვიან, ღვთისნიერი ადამიანი, რომ წესრიგში მოეყვანა ეს ძვირფასი ნაგებობა. ეამთა სიავე კი თავის დაღს ასვამდა ჩითახეველთა სიამაყეს.

ვერ გეტყვით, რა მიზნით, მაგრამ ფაქტი კია, რომ საქართველოს ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის და საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შეთანხმების საფუძველზე მოხდა შენობების გაცვლა. ჩითახეჰესის ტერიტორიაზე არსებული ორი სამსართულიანი შენობა პროფკავშირებმა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გადასცეს. ამ უკანასკნელისგან კი პროფკავშირებმა სამაგიეროდ მიიღეს დასასვენებელი სახლები ბაბუშერაში.

ეს იყო და ეს. კლუბის შენობა საბოლოოდ გადავიდა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბალანსზე. ამიერიდან იგი ამ ნაგებობის ბატონ-პატრონი გახდა.

ეს ამბავი მეხვეთ გავარდა ჩითახევში;

— კლუბი გეეკარგება! — იძახდა ერთი.

— კლუბს გეართმევენ! — ამბობდა მეორე.

ქუდზე კაცი გამოვიდა. შეიკრიბნენ. ითათბირეს და გადაწყვიტეს გაეგზავნათ თხოვნა სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა საბჭოში და გააგზავნეს კიდეც.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო კი თავის საქმეს აკეთებდა. ერთ-ერთ შენობაში სურამიდან ძვალ-სახსრის ტუბერკულოზის სანატორიუმი გადმოიტანა. კლუბის შენობას რაც შეეხება, დაიწყო ფიქრი მის რეკონსტრუქციისა და კაპიტალურ რემონტზე.

დიდხანს გაგრძელდა ეს ფიქრი. სამინისტროს როგორც იქნა, 1960 წელს შეადგინა ხარჯთაღრიცხვა № 346 კლუბის რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტის შესახებ.

ამ ხარჯთაღრიცხვით დღემდე შელესვის და სადურგლო სამუშაოებს ვინ ჩიოვის, საღებავის ფერიც კი არავის მოუსინჯავს კლუბის შენობის კედლებზე. ახლა ხარჯთაღრიცხვა ძვალ-სახსრის ტუბერკულოზის სანატორიუმს მთავარი ექიმის სეიფში განისვენებს.

1957 წლის 21 სექტემბერს ჩითახევლებმა საქართველოს ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის რესპუბლიკური კომიტეტიდან მიიღეს მოსკოვში გაგზავნილი წერილის პასუხი. ჩითახეველები კვლავ შეეკრიბნენ და წერილი კოლექტიურად წაიკითხეს.

იქ ეწერა: თქვენი თხოვნის საფუძველზე მოხდა მოლაპარაკება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილესთან ამხ. ცომაიასთან, კლუბს გამოიყენებთ დანიშნულებისამებრ და არავითარ შემთხვევაში საცხოვრებლად, საკლუბო მუშაობას წინასწიგბურად თქვენ განახორციელებთ, ამ საკითხთან დაკავშირებით რაიმე გაუგებრობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გვაცნობეთ.

ჩითახეველებმა გული დაიმშვიდეს. შენობის მოვლა-პატრონობაზე კი არავის არ უფიქრია. ერთმა კი თქვა, კლუბს გამგე უნდაო, მაგრამ მეორემ ჩაჩუმა: გამგეს ხელფასი მოუნდებაო. კლუბის გასაღებები ჩითახევჰესის ელექტროსადამროს ზეინკალ დ. მიქელაძეს ჩაბარეს.

აწმყოში თუ რა მდგომარეობაშია კლუბის შენობა, გასაგებია, მაგრამ ერთი-ორი სიტყვა მაინც შეიძლება ვთქვათ მის აკკარგზე. კარგი რა მოგახსენოთ, ავი კი რამდენიც გინდათ. ისე საკმარისი იქნება, თუ გონებაში ციხელაშვილის წერილს აღვიდგენთ.

პირველ სართულზე პატარა ოთახში კვლავ მუშაობს საფოსტო განყოფილება. მეორე სართულზე თვალში მოგხვდებათ წყლისგან ჩამოტყაველული შენობის კუთხე. აქვეა ბიბლიოთეკა, სადაც რამდენნიმე ასეული ტომი მხატვრული, ტექნიკური და პოლიტიკური ლიტერატურაა. ამავე სართულზე ცხოვრობენ ძვალ-სახსრის ტუბერკულოზის სანატორიუმის ფუშა-მოსაამახურეები.

მესამე სართულზე კი ნაკლულბარია. კულისებში ჭერიდან და კუთხეებიდან ჩამონგრეული გაჯის გორებია. აქვე დგას წყლისაგან დაზიანებული როიალი. თუ კარგად დაკვირდებით, მიხვდებით, რომ იგი ერთ დროს შავად ყოფილა შეღებული. სათავესები ყველა გაუქმებულია, დალურსმულია. სეედიანად გამოიყურებიან ყინვისგან დახეთქილი რადიატორები.

ერთ რამეში კი ვერ დაეთანხმებით ციხელაშვილს. იგი თავის წერილში წერდა, შენობა უპატრონოა. შენობა უპატრონო კი არ ყოფილა, ორი პატრონი ჰყოლია. ერთი ოფიციალური მეორე კი... მას ეექსპლოატაციას უწევენ ჩითახეველებიც და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროც.

ორი ძაძის ხელში ბავშვი დაიხრჩოო, სწორედ ამაზე ითქმის.

ეს ძაძები კლუბის შენობაზე თავისებურად „ზრუნავდნენ“.

— შენობა ავარიულ მდგომარეობაშია, ესაჭიროება კაპიტალური რემონტი... იწერება წერილები ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში ჩითახევის სანატორიუმიდან. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროც თითქმის იმავე შინაარსის წერილების წერით კმაყოფილდება.

მიმართვებს წერს ჩიხეეჰესის დირექციაც — შენობას გადაუდებელი რემონტი ესაჭიროება. სახურავიდან ჩამოსული წყალი შენობის კედლებს აზიანებს. ჩვენ ვერ ვაკეთებთ, რადგან იგი ჩვენს ბალანსზე არ არის. თუ გადმოგვცემთ, გამოვნახავთ ხარჯებს მის შესაკეთებლადო...

ასე დაუსრულებლად იწერება მიმართვები. ამით თითქოს პასუხისმგებლობას იხსნიან თავიდან. კონკრეტულ ზომებზე, ცოცხალ საქმეზე კი არავინ ფიქრობს.

მომავალზე ასე შეიძლება ვიმსჯელოთ. კლუბის შენობას თუ დროზე არ გამოუჩნდა მზრუნველი ადამიანი, თუ დაუყოვნებლივ არ დაიწყო მისი კაპიტალური რემონტი, სულ მალე დაინგრევა და შეიძლება უყურადღებობის შედეგად უბედური შემთხვევაც მოხდეს.

შეიძლება ასე მწვავედ არ დაგვეყენებინა საკითხი, მაგრამ ხომ გაგგიგიათ, კაცმა კაცისა თქვა და საქმემ — ორივესი. საკითხი მარტო კლუბის რემონტს როდი ეხება, თუმცა ვერც ამას აკუვლთ გვერდს. ყოველი საბჭოთა ადამიანი მოვალეა გაუფრთხილდეს და თვალსაჩინოვით დაიცვას სახელმწიფო საკუთრება. წყალში არ უნდა გადავყაროთ საბჭოთა მანეთები. კლუბის შენობის აშენებაზე 74.000 მანეთამდე დახარჯა. ახლა მის აღდგენას თითქმის ამდენივე დასჭირდება.

ჩითახეველებს ერთ დროს კარგი კულტურისა და დასვენების კერა ჰქონდათ. კლუბში ხშირად იმართებოდა კონცერტები ადგილობრივი ძალებით. ახალგაზრდები სწავლობდნენ ცეკვას, სიმღერას, კერვას, სპორტულ დარბაზში ჯახს სცდიდნენ ჩითახეველი ბიჭები.

ჩითახეველებს სიხმარითით ახსოვთ ეს ბედნიერი წუთები. ახლა კულტურული მომსახურების თითქმის ყველა ღონისძიება ჩაშლილია. ციხელაშვილის გულისტკივილი ჩითახეველთა გულისტკივილია. სწორია მათი მოთხოვნა: კარგი შრომის შემდეგ ადამიანს კარგი დასვენების საშუალებაც უნდა ჰქონდეს.

რ. ბასილაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ორი ძაძის ხელში

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ—ᲢᲣᲚᲝᲜᲘ

ქართველი მოცეკვავენი სამხრეთ საფრანგეთში

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იცით, ამჟამად სთერანგეთში კონცერტებს მართავს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი, რომელსაც სსრ კავშირის სახალხო არტისტები **ნინო რამიშვილი** და ილიკო სუხიშვილი ხელმძღვანელობენ.

გუშინ შუადღისას „კომუნისტის“ კორესპონდენტმა ქალაქ ნიცაში დარეკა... ნიცის მაგვარად რეფექცია ტულონთან შეაერთეს — ქართველი მოცეკვავენი უკვე ამ ქალაქში გადასულიყვნენ. ტელეფონთან ილიკო სუხიშვილი მოვიდა.

— ეი რა აცნობა მან ჩვენს კორესპონდენტს:

— პირველი კონცერტი ქალაქ ნიცაში გავმართეთ 20 თებერვალს. აქ სულ ოთხი კონცერტი გვქონდა. მონაწილეობა მივიღეთ ტრადიციულ წინასაგაზაფხულო კარნავალშიც. შემდეგ ავინიონს ვეწვიეთ და ერთი კონცერტიც გამოვედით.

ორი დღეა ტულონში ვართ. აქაური მაყურებლის წინაშე ორი კონცერტით წარვსდექით. აგერ ახლა ავტომუსები გვიცდიან, ამ საღამოს მონაპლიეში უნდა გამოვიდეთ. ერთი სიტყვით, თანდათან გუახლოვდებით პარიზს, სადაც პირველი კონცერტი 9 მარტისათვის არის ნაგარაუდევი.

სამხრეთ საფრანგეთის მაყურებელი ძალიან გულთბილად გვიღებს. აქაური პრესა აღფრთოვანებულ წერილებს აქვეყნებს. პარიზში თითქმის თვენახევარს დავრჩებით. ყველანი ჯანმრთელად და კარგად ვართ. გადაეცით მთელი ჩვენი კოლექტივის მსურველი სალამი გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს.

შემდეგ ილიკო სუხიშვილმა ყურმილი გადასცა საქართველოს სახალხო არტისტს, კინორეჟისორ გიორგი ასათიანს.

— ჩვენი ანსამბლის ყოველი კონცერტი ფირზეა აღბეჭდილი, — თქვა გ. ასათიანმა. — ცალკე ფილმი მივუძღვენი ნაცის კარნავალს, რომელიც თვრამეტიდან ოცდასუთ თებერვლამდე გრძელდებოდა. ეფიქრობ შევქმნა აგრეთვე კინოხელოვნები პარიზის ცხოვრებაზე. ასე რომ ხელცარიელი არ დავბრუნდებით.

* * *

ᲐᲘ რას წერდა გაზეთი „ლუმანიტე“ ნიცაში გამართულ კარნავალზე ქართველ მოცეკვავეთა გამოსვლის გამო:

„ᲐᲛ ᲡᲐᲚᲐᲛᲘᲡ თეატრში ვიყავით და სახარული მოგვანიჭა იმ რიტმმა და გრაციის, ძალისა და ლირიზმის დღესასწაულმა, რაც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ანსამბლმა გვიჩვენა. გახსოვთ, 8 წლის წინათ ჩვენ ოვაცია გავუმართეთ ამ დასს პარიზის დარბაზ „ალამბრაში“. შავჩექმიანი ვოკაცები მოქნილობისა და ვირტუოზულობის სახწაულებს გვიჩვენებდნენ. მათ გვერდით ქალები მდუმარედ ასოვდნენ ნახატს, რომელშიც ხაზთა კეთილშობილურობა მეტოქეობას უწევდა სინატიფესა და ხილამაზეს. ამ თვალსაზრისით არაფერი არ შეცვლილა. მაგრამ ახლანდელი პროგრამა სრულებით არ არის იგივე. ამას მალე ნახავთ პარიზში...

მაყურებელი მოხიბლა და გააოცა ცეკვა „ბანჭლურმა“, შორეული წარსულის მინიატიურის მსგავს ბშვენიერ ქართველ ქალიშვილთა მოსრიალე ფერხულმა. ძალიან ძნელია ვთქვათ, რას უნდა მივაკუროთ განსაკუთრებული უურადღება: მოცეკვავეთა ნახტომებს, რბილ ჩექმებზე პუანტეებს თუ ქალიშვილთა სინარნარის ღაუსრულებელ მობრბენვლობას?

ნიცაში კიდევ დიდხანს ილაპარაკებენ ქართველ ნახტომიზებზე“.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: გაზეთ „ლუმანიტეში“ დაბეჭდილი რეცენზიის ფოტორეპროდუქცია.

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲨᲘ: ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲗᲐᲜ

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საგასტროლო მოგზაურობიდან დაბრუნდა საბჭოთა მსახიობების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტები, მოცეკვავეები ძმები **კუკური** და **ავთანდილ ძნელაძეები.**

ქართველი მოცეკვავეებისათვის ეს პირველი გასტროლი ჩოდია საზღვარგარეთ. მათ უკვე რამდენჯერმე ამოგზაურეს ევროპის, აზიის, ამერიკისა და აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში.

ამჟამად გასტროლები ორ კვირას გაგრძელდა.

დაუვიწყარი იყო პანოის სახალხო თეატრის შენობაში გამართული პიესა „ბრალეული“. ეს ბალეტი ეფუძნება ცნობილ ფრანგ მწერალ ალფონს დოდეს ამავე სახელწოდების ნოველას. ბალეტის ავტორია ცნობილი ფრანგი ბალეტმეისტერი ანრი ალონ. ბალეტის ინსცენირება, ანსამბლის ხელმძღვანელ ილიკო სუხიშვილის ეკუთვნის. ბალეტის ინსტრუმენტალური ნაწილი ეკუთვნის ცნობილ ფრანგ კომპოზიტორ ანრი ბერეტს.

ბალეტის ინსტრუმენტალურ ნაწილს ასრულებდა ბ. ბაბაიანის ინსტრუმენტალური ანსამბლი.

ᲐᲛᲠᲘᲒᲐᲓ, საკითხის ღრმად შესწავლის საფუძველზე, ლიტერატურული მონაცემების მიხედვით არსებულ მასალათა გულდასმით შეჯერების შედეგად, „ივერიის“ ხელმოუწერელი მოწინავე სტატიებისა და წერილების მთელი სერია ილია ჭავჭავაძის ავტორობით შევიდა ბიბლიოგრაფიის III ტომის პირველსა და მეორე ნაკვეთში.

მაგრამ არის კიდევ 1886-1892 წლების, ისე როგორც შემდეგ პერიოდშიც, „ივერიის“ მთელი წყება ისეთი ხელმოუწერელი მოწინავე სტატიები და წერილები, რომელთა უმთავრესი ნაწილი (თუ მოლიანად არა) ილიას კალამს უნდა ეკუთვნოდეს. რაც მეტად ვუკვირდებით ამ ხელმოუწერელ სტატიებსა და წერილებს, უფრო ვრწმუნდებით, რომ მათი ავტორი ი. ჭავჭავაძეა. მთელი ამ წყების წერილების ავტორობის საკითხი კი ჯერჯერობით უღრადღებოდ არის დატოვებული.

გაზეთის მოწინავე სტატიებისა და წერილების ამ სერიაშიც აღძრულია იმ დროის საქართველოს პოლიტიკურ-სოციალური და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მრავალმხრივ საყურადღებო, აქტუალური საკითხები. ამას გარდა, წერილების დიდი ნაწილი ეხება საზღვარგარეთის ქვეყნებისა — ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, ავსტრიის, იტალიის და სხვ. საერთაშორისო, საშინაო და საგარეო, სოციალურ-პოლიტიკური და საზოგადოებრივ-კულტურული ურთიერთობისა და მთელ რიგ სხვა საკითხებს.

„ივერიაში“ 1886 წლის დასაწყისიდან 1892 წლის ბოლომდე დაბეჭდილი ასეთი ხელმოუწერელი მოწინავე წერილი სამასზე მეტია, რაც ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის III ტომის I-სა და II ნაკვეთში შევიდა.

ილია ჭავჭავაძის დიდი პუბლიცისტური მემკვიდრეობის შესწავლისას „ივერიის“ ეს ხელმოუწერელი მოწინავე წერილებიც მოითხოვს მკვლევართა სპეციალურ შესწავლას, მიუდგომელ გულისხმიერებას, საკითხში ღრმად ჩაწვდომას, გარკვევასა და გადაჭრას.

ქართული პერიოდიკის (გაზეთებისა და ჟურნალების) ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის მთლიანად, ცალკეულ ტომებად გამოცემადამთავრება საშვილიშვილო საქმეა. იგი ხელს შეუწყობს მწერლობის მრავალი უცნობი საკითხის გარკვევასა და დადგენას, წინ წასწევს ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიის შესწავლისა[illegible]ს მიმდინარე მუშაობის დიდ საქმეს.

შ. გოზალიშვილი.

ᲮᲐᲜᲘ ᲡᲙᲘᲛᲘ

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ დედაქალაქის საზოგადოებრიობა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე გაეცნო იტალიური საოპერო ხელოვნების სახელოვანი ოსტატის, პუჩინის კიდევ ერთ ნაწარმოებს — ერთმოქმედებიან კომიკურ ოპერა „ᲮᲐᲜᲘ ᲡᲙᲘᲛᲘᲗ“.

მშიაროული სატირული მინიატიურა „ჯანი სკიკი“, რომლითაც პუჩინი წარმატებით აგრძელებს იტალიური ოპერა-ბუფის ტრადიციებს, შექმნილია კომპოზიტორის შემოქმედების უკანასკნელ პერიოდში, კერძოდ 1918 წელს.

თბილისის საოპერო თეატრში სპექტაკლი „ჯანი სკიკი“ დადგა რეჟისორმა Ჯ. ᲐᲜᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ; დირიჟორია — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე Ი. ᲐᲡᲐᲠᲩᲐᲕᲐ.

პრემიერის დღეს ჯანი სკიკის როლს ასრულებდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი ᲑᲐᲗᲣ ᲙᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ, რომელმაც ცბიერი და თაღლითი ადვოკატის სცენურად და ვოკალურად დასამახსოვრებელი კოლორიტული სახე შექმნა.

„ჯანი სკიკის“ პრემიერის შემდეგ გაიმართა კლასიკური საოპერო მუსიკის კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები თ. მუშკუდიანი, ნ. ანდღულაძე, მ. ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები შ. ᲙᲘᲡᲐᲜᲐᲫᲔ, ნ. ᲩᲘᲦᲣᲨᲘ, ოპერის სოლისტები ნ. ᲒᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, რ. ᲙᲐᲪᲐᲑᲐᲫᲔ, თ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ, ᲕᲚ. ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ, რესპუბლიკის სახალხო არტისტი. მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი ზ. ᲐᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ.

საკონცერტო პროგრამას დირიჟორობდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი Ო. ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲐᲓᲘ, რესპუბლიკის სახალხო არტისტი Ვ. ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე თ. ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: სცენა სპექტაკლიდან. წინა პლანზე, მარჯვნიდან — ჯანი სკიკი — ბ. ᲙᲠᲐᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ჩესკა — თ. ᲒᲣᲠᲒᲣᲜᲫᲔ, ნელა — ტ. ᲭᲐᲜᲗᲣᲠᲘᲐ.
ფოტო ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡᲐ.

ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲢᲠᲘᲐᲠᲮᲘᲓᲐᲜ

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-პუბლიცისტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესასწავლად დღემდე დიდი მუშაობაა გაწეული. დასრულდა მწერლის ათტომეულის გამოცემა პ. ინგოროყვას რედაქტორობით; დაიწერა და გამოიცა მონოგრაფიული გამოკვლევები, ცალკეული კრებულები, სტატიები და სხვ.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არა გვაქვს სრულყოფილად, ამომწურავად შესწავლილი მწერლის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა. განსაკუთრებით კი ითქმის ილიას პუბლიცისტურ მემკვიდრეობაზე.

ამის ნათელსაყოფად საკმარისია დავასახელოთ წლების მანძილზე „ივერიის“ ფურცლებზე ხელმოუწერლად დაბეჭდილი მოწინავე სტატიები, წერილები და სხვ., რომელთა უმთავრესი ნაწილის ავტორი ილია ჭავჭავაძეა. დიდი მწერლ

შეამოწმეთ, ვინ რა მოიგო

ოფიციალური ცხრილი



საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1965 წლის მეორე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟისა. მოგებათა ტირაჟი გაიმართა 1965 წლის 25 თებერვალს დაბა თეთრ წყაროში.
ტირაჟში გათამაშდა 140 ნივთმოგება და 112.360 ფულადი მოგება 187.500 მანეთი თანხისა. მოგება ხვდა 1965 წლის მეორე გამოშვების ლატარიის სერიებისა და ბილეთების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ბილეთის №	მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა	მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება
02513	361*)	20 მანეთი	—
02519	345*)	პიანინო	526—50
02530	122*)	ელექტროსამართებელი	22—50
02538	438*)	ელექტროსამართებელი	22—50
02539	030*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
02543	417*)	30 მანეთი	—
02545	103*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	2.220—00
02560	004*)	15 მანეთი	—
02563	413*)	100 მანეთი	—
02564	253*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
02579	310*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	2.220—00
02592	090*)	მაცივარი	200—00
02606	493*)	100 მანეთი	—
02607	312*)	100 მანეთი	—
02625	394*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	3.461—25
02630	194*)	პიანინო	526—50
02640	370*)	20 მანეთი	—
02645	054*)	ხელის საკერავი მანქანა	50—00
02653	017*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
02660	427*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
02663	225*)	20 მანეთი	—
02664	234*)	15 მანეთი	—
02684	194*)	ხალიჩა შალნარევი ზომით 1,×1,85 კვ. მ.	16—00
02688	334*)	15 მანეთი	—
02700	293*)	ფოტოაპარატი „ზორკი“	43—00
02721	027*)	ხალიჩა შალნარევი ზომით 1×1,85 კვ. მ.	16—00
02728	355*)	მაცივარი	200—00
02737	073*)	ფოტოაპარატი „ზორკი“	43—00
02758	074*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
02776	492*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
02783	388*)	15 მანეთი	—
02798	255*)	მაცივარი	200—00
02805	171*)	20 მანეთი	—
02807	469*)	100 მანეთი	—
02835	310*)	ელექტროსამართებელი	22—50
02840	057*)	ელექტროსამართებელი	22—50
02850	350*)	მაცივარი	200—00
02852	441*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
02874	103*)	ხელის საკერავი მანქანა	50—00
02882	419*)	მაცივარი	200—00
02891	1—500	5 მანეთი	—
02912	492*)	პიანინო	526—50
02914	462*)	ხელის საკერავი მანქანა	50—00
02929	134*)	პიანინო	526—50
02943	367*)	25 მანეთი	—
02944	143*)	15 მანეთი	—
02955	297*)	მამაკაცის მაჯის საათი	28—00
02965	226*)	300 მანეთი	—
02967	444*)	მაცივარი	200—00
02969	353*)	20 მანეთი	—
02976	164*)	ელექტროსამართებელი	22—50
02987	004*)	20 მანეთი	—
03000	073*)	პიანინო	526—50
03017	490*)	200 მანეთი	—
03033	048*)	15 მანეთი	—
03047	452*)	25 მანეთი	—
03074	086*)	ელექტროსამართებელი	22—50
03084	475*)	მაცივარი	200—00
03144	327*)	მაცივარი	200—00
03151	072*)	20 მანეთი	—
03158	378*)	ელექტროსამართებელი	22—50
03174	065*)	20 მანეთი	—
03178	208*)	პიანინო	526—50
03179	371*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
03183	393*)	ავტომანქანა „ვოლგა“	5.513—25
03190	148*)	ელექტროსამართებელი	22—50
03193	440*)	მაცივარი	200—00
03206	021*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
03222	297*)	20 მანეთი	—
03234	132*)	საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაურო ტურისტულ მატარებელ „საქართველოთი“	150—00
03238	396*)	მაცივარი	200—00
03239	117*)	ხელის საკერავი მანქანა	50—00
03248	120*)	მამაკაცის მაჯის საათი	28—00
03249	478*)	15 მანეთი	—
03264	379*)	მაცივარი	200—00
03305	198*)	25 მანეთი	—
03317	470*)	მაცივარი	200—00
03319	1—500	10 მანეთი	—
03320	163*)	20 მანეთი	—
03325	352*)	მაცივარი	200—00
03328	213*)	ელექტროსამართებელი	22—50
03330	132*)	20 მანეთი	—
03350	498*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
03353	088*)	მამაკაცის მაჯის საათი	28—00
03367	500*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
03392	303*)	30 მანეთი	—
03401	306*)	მაცივარი	200—00
03409	122*)	ელექტროსამართებელი	22—50
03413	147*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
03416	357*)	ფოტოაპარატი „ზორკი“	43—00
03418	491*)	300 მანეთი	—
03432	348*)	15 მანეთი	—
03440	172*)	მაცივარი	200—00
03444	485*)	პიანინო	526—50
03456	405*)	პიანინო	526—50
03465	063*)	25 მანეთი	—
03496	434*)	პიანინო	526—50
03501	398*)	ხალიჩა შალნარევი ზომით 1×1,85 კვ. მ.	16—00
03517	034*)	30 მანეთი	—
03522	484*)	პიანინო	526—50
03526	365*)	20 მანეთი	—
03528	324*)	ფოტოაპარატი „ზორკი“	43—00
03529	212*)	პიანინო	526—50
03530	454*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
03553	173*)	25 მანეთი	—
03555	270*)	მაცივარი	200—00
03565	166*)	ელექტროსამართებელი	22—50
03585	487*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
03586	070*)	საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაურო ტურისტულ მატარებელ „საქართველოთი“	150—00
03597	236*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
03602	377*)	ხალიჩა შალნარევი ზომით 1×1.85 კვ. მ.	16—00
03606	430*)	100 მანეთი	—
03620	161*)	25 მანეთი	—
03630	319*)	15 მანეთი	—
03672	118*)	ელექტროსამართებელი	22—50
03677	466*)	ფოტოაპარატი „ზორკი“	43—00
03679	411*)	20 მანეთი	—
03692	494*)	100 მანეთი	—
03696	405*)	100 მანეთი	—
03708	187*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
03712	134*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	2.220—00
03723	476*)	პიანინო	526—50
03736	1—500	5 მანეთი	—
03759	216*)	20 მანეთი	—
03765	052*)	მაცივარი	200—00
03785	276*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
03791	376*)	პიანინო	526—50
03792	255*)	მაცივარი	200—00
03798	190*)	30 მანეთი	—
03821	328*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
03823	133*)	ელექტროსამართებელი	22—50
03839	171*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
03840	423*)	20 მანეთი	—
03848	029*)	30 მანეთი	—
03854	042*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
03861	220*)	პიანინო	526—50
03866	294*)	300 მანეთი	—
03875	311*)	200 მანეთი	—
03898	257*)	20 მანეთი	—
03905	146*)	ხალიჩა შალნარევი ზომით 1×1,65 კვ. მ.	16—00
03919	1—500	10 მანეთი	—
03984	262*)	20 მანეთი	—
04020	170*)	20 მანეთი	—
04037	257*)	მამაკაცის მაჯის საათი	28—00
04058	385*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	3461—25
04065	049*)	ხელის საკერავი მანქანა	50—00
04070	240*)	პიანინო	526—50
04075	306*)	20 მანეთი	—
04076	189*)	15 მანეთი	—
04079	454*)	მამაკაცის მაჯის საათი	28—00
04095	179*)	200 მანეთი	—
04098	062*)	პიანინო	526—50
04118	316*)	500 მანეთი	—
04132	006*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
04139	081*)	20 მანეთი	—
04144	326*)	მაცივარი	200—00
04158	385*)	ელექტროსამართებელი	22—50
04174	448*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	2220—00
04177	378*)	30 მანეთი	—
04183	119*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
04184	290*)	ელექტროსამართებელი	22—50
04190	336*)	20 მანეთი	—
04198	230*)	მამაკაცის მაჯის საათი	28—00
04199	232*)	20 მანეთი	—
04208	051*)	ელექტროსამართებელი	22—50
04226	148*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
04248	067*)	20 მანეთი	—
04262	293*)	25 მანეთი	—
04285	342*)	30 მანეთი	—
04288	427*)	ელექტროსამართებელი	22—50
04293	478*)	100 მანეთი	—
04303	103*)	მაცივარი	200—00
04325	085*)	პიანინო	526—50
04335	281*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
04346	079*)	30 მანეთი	—
04353	203*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	3.461—25
04381	381*)	ელექტროსამართებელი	22—50
04388	284*)	20 მანეთი	—
04393	126*)	მამაკაცის მაჯის საათი	28—00
04403	245*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
04453	458*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
04457	279*)	ხალიჩა შალნარევი ზომით 1×1,85 კვ. მ.	16—00
04462	307*)	მამაკაცის მაჯის საათი	28—00
04467	321*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
04494	206*)	პიანინო	526—50
04495	311*)	30 მანეთი	—
04502	181*)	20 მანეთი	—
04520	139*)	100 მანეთი	—
04522	050*)	200 მანეთი	—
04527	292*)	20 მანეთი	—
04528	457*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	3461—25
04540	327*)	300 მანეთი	—
04548	470*)	მაცივარი	200—00
04553	364*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	2220—00
04557	444*)	20 მანეთი	—
04559	175*)	20 მანეთი	—
04568	253*)	პიანინო	526—50
04576	136*)	პიანინო	526—50
04592	326*)	ხალიჩა შალნარევი ზომით 1×1,85 კვ. მ.	16—00
04598	490*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
04654	441*)	მაცივარი	200—00
04685	428*)	25 მანეთი	—
04690	181*)	მამაკაცის მაჯის საათი	28—00
04719	418*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
04722	412*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
04728	417*)	ელექტროსამართებელი	22—50
04737	412*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
04746	130*)	ხალიჩა შალნარევი ზომით 1×1,85 კვ. მ.	16—00
04748	026*)	მაცივარი	200—00
04766	244*)	20 მანეთი	—
04772	235*)	25 მანეთი	—
04791	149*)	100 მანეთი	—
04823	093*)	20 მანეთი	—
04825	345*)	25 მანეთი	—
04829	306*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
04834	088*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
04865	172*	30 მანეთი	—
04881	236*)	მაცივარი	200—00
04901	200*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
04908	138*)	300 მანეთი	—
04934	290*)	200 მანეთი	—
04938	195*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
04954	077*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	3461—25
04965	366*)	მამაკაცის მაჯის საათი	28—00
04974	127*)	მაცივარი	200—00

შენიშვნა. *) ლატარიის ამ სერიის ბილეთების დანარჩენ 499 ნომერს ხვდა 1 მანეთი მოგება თვითეულს.

თუ სვეტში „ბილეთის ნომერი“ აღნიშნულია 1—500 ეს იმას ნიშნავს, რომ ერთნაირი მოგება ხვდა ლატარიის მოცემული სერიის ბილეთების ხუთასსავე ნომერს.

მოგებათა მიღების წესი

1. ლატარიის იმ ბილეთის მფლობელს, რომელსაც ნივთის მოგება ხვდა, თავისი სურვილისამებრ შეუძლია მოგებული ნივთის ღირებულება ნაღდ ფულად მიიღოს.

ლატარიის ბილეთების ფულად მოგებათა გაცემას, ხოლო მიმღებთა სურვილისამებრ 50 მანეთამდე (ჩათვლით) ღირებულების მოგებული ნივთის ნაცვლად აგრეთვე ფულის გაცემას აწარმოებს საქართველოს სსრ ყველა შემნახველი სალაროო და პირველი თანრიგის შემნახველი სალაროები.

2. მოგებულ ნივთებს ლატარიის ბილეთების მფლობელთ აძლევენ ან უგზავნიან მხოლოდ ქ. თბილისის მაღაზიები. მოგებული ნივთების მისაღებად ლატარიის ბილეთები უნდა წარდგინოს შემნახველ სალაროებს.

ლატარიის ბილეთები იმ მოგებებით, რომლებიც ქ. თბილისის მაღაზიების მეშვეობით უნდა გაიგზავნოს, წარედგინება ცენტრალურ შემნახველ სალაროებს ან პირველი თანრიგის შემნახველ სალაროებს. ამასთან ლატარიის ბილეთის მფლობელი აცნობებს გვარს, სახელს, მამის სახელს და თავისი ბინის ზუსტ მისამართს.

დიდგაბარიტიან საგნებზე ნაჩვენები უნდა იყოს აგრეთვე რკინიგზის იმ უახლოესი სადგურის სახელწოდება, რომელიც სატვირთო სიჩქარის ოპერაციებს აწარმოებს.

მაცივრების მისაღებად საჭიროა, გარდა ამისა, ნაჩვენები იყოს ლატარიის ბილეთის მფლობელის საცხოვრებელ ადგილში ელექტროქსელის ძაბვა ე. ი. 127 ვოლტი თუ 220 ვოლტი.

3. მოგებული ნივთების გაცემას მაღაზიები აწარმოებენ მას შემდეგ, რაც ლატარიის ბილეთები, რომლებსაც მოგება ხვდა, შემოწმდება შემნახველ სალაროში.

4. ლატარიის ბილეთები, რომლებსაც მოგება ხვდა, შეიძლება წარმოდგენილ იქნას გასანაღდებლად ან მოგებული ნივთის მისაღებად 1966 წლის 30 ივნისამდე ჩათვლით. ამ ვადის შემდეგ ლატარიის ბილეთები ძალას კარგავენ და გასანაღდებლად აღარ მიიღებიან. ეს ცხრილი წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომლის მიხედვით წარმოებს ფულადი მოგებისა და მოგებული ნივთების გაცემა.

შენიშვნა: სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში ჩატარებული ფულისა და ნივთების ლატარიების ბილეთების მფლობელთ შეუძლიათ თავიანთი ბილეთები შეამოწმონ მოგებათა ცხრილებით და მიიღონ ფულადი მოგება და ფული მოგებულ ნივთის ნაცვლად ქ. თბილისის კალინინის სახელობის, აგრეთვე ქალაქების სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, წყალტუბოს და გაგრის ცენტრალურ შემნახველ სალაროებში.

აღნიშნული ცენტრალური შემნახველი სალაროები აგრეთვე მიიღებენ ლატარიის ბილეთებს, რომლებსაც მოგება ხვდა, მოგებული ნივთების გამოსათხოვად.

ლატარიის ბილეთების შემოწმება შეიძლება რესპუბლიკის ყველა დიდი ქალაქის ცენტრალურ შემნახველ სალაროებში.

კომისიის თავმჯდომარე
თეთრი წყაროს მშრომელთა დეპუტატების რაიონთაშორისო
აღმასკომის თავმჯდომარე
ე. ელგაქიძე

თავმჯდომარის მოადგილე
საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი
ქ. გოგოლაშვილი

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი
მ. ჯანგიძე

ჩემპიონატები • ტურნირები • ინტერვიუ

„კომუნისტის“ პოლიტი

ღღეს ცსკა—„დინამო“

თბილისი სპორტის სასახლეში გუშინ გაიმართა კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტური. თბილისის „დინამომ“ ანგარიშით 70:51 (37:25) დაამარცხა მინსკის „სპარტაკი“. არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდმა მოუგო (89:57) კიევის სკა-ს, ხოლო მოსკოვის „დინამომ“ — რიგის ვეფ-ს 76:62. დღეს გაიმართება მეორე წრის პირველი ნახევრის უკანასკნელი მატჩები. ყურადღებას იპყრობს ცსკა-სა და თბილისის „დინამოს“ მატჩი.

გაქარწყვების შემდეგ ფრა

მოსკოვი „ტორპედოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი განაგრძობს ტურნეს ავსტრალიაში. მეორე მატჩი ტორპედოელებს ჰქონდათ სიდნეის შტატის ნაკრებთან. მეტოქეებმა მეორე ტაიმში თითო ბურთი გაიტანეს და შეხვედრა ფრედ დაამთავრეს.

მსოფლიო პირველობის ფინიში

გუშინ მოსკოვში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში ბურთით. სსრ კავშირისა და შვეიცის გუნდების მატჩი მძაფრი ბრძოლის შემდეგ დამთავრდა ფრედ — 3:3. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: სსრ კავშირი, ნორვეგია, შვეიცა.

მოსკოვი, 26 თებერვალი. (საკ.ფესი). მეხუთე მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში ბურთით გაიმართება ფინეთში 1967 წლის ზამთარში — ასე გადაწყვიტა ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის მორიგმა კონგრესმა. ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტად კვლავ არჩეულია ალან იუნკვისტი (ფინეთი).

ჩემპიონის ჯერნე

მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში გროსმასტერი ტ. პეტროსიანი და ოსტატი ი. ბუტრინი მოსკოვიდან ქამბურგში გაემგზავრ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჭადრაკის კავშირის მიწვევით ისინი წაიკითხავენ ლექციებს ჭადრაკზე და გამართავენ ერთდროული თამაშის სეანსებს.

გ. ქაჩალინი: მუყაითი შრომა გამარჯვების საწინდარია

ამ დღეებში დიღმის სასპორტო ბაზაზე ვვრთნა დაიწყო თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა. „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა დინამოელთა უფროს მწვრთნელს გაბრიელ კაჩალინს.

— **დინამოელთა რიგები შეთხელებული ჩანდა — სავარჯიშოდ მოედანზე ვერ ვნახეთ რამდენიმე მოთამაშე...**

— დღეს მართლაც არასრული შემადგენლობით ვივარჯიშეთ. მ. მესხი, ს. მეტრეველი და გ. სიჭინავა საკავშირო ნაკრების სხვა მოთამაშეებთან ერთად ამხანაგური შეხვედრების გასამართავად იუგოსლავიაში გაემგზავნენ. შ. იამანიძე, ს. კოტრიკაძე და ვ. ბარქაია შეუძლოდ არიან.

— **როგორ მიმდინარეობს ჩემპიონთა ვარჯიში?**

— ძირითადი და დუბლიორთა შემადგენლობები ცალ-ცალკე ვარჯიშობენ როგორც პრაქტიკულად, ისე თეორიულად. წინა წლებთან შედარებით ფეხბურთელთა მომზადების რეჟიმი წელს ნაწილობრივ შევცვალეთ თუ წინათ მოედანზე ვარჯიშს ორ საათს ვუთმობდით, ახლა დატვირთვა 30 წუთით გავზარდეთ.

— **გუნდში ნაკრების წევრების დროებით არყოფნა ალბათ გამოიწვევს ძირითად შემადგენლობაში ახალგაზრდა ფეხბურთელების გამოჩენას...**

— უდავოდ, პირველ რიგში ეს ახალგაზრდა ფორვარდებს შეეხებათ. წელს სხვადასხვა ნაკრებ გუნდში მიწვეულია ცხრა ქართველი ფეხბურთელი (მესხი, მეტრეველი, გ. სიჭინავა, ბარქაია, ხურცილავა, რეხვიაშვილი, მაისურაძე, ჭელიძე და ასათიანი). გაგახსენებთ, რომ გუნდის მოთამაშეთა საშუალო ასაკი 26 წელია. ეს კი მრავლისმეტყველია. ცვლაზე ფიქრი დროულია, მაგრამ ამ საქმეში საჭიროა სიდინჯე, სიფრთხილე. (სხვათაშორის გუნდში მივიღეთ ახალგაზრდა ფეხბურთელები — ასათიანი და გოგია. მათ კარგი პერსპექტივა აქვთ).

— **დავუბრუნდეთ „ოქროს გიჭებს“. შეინარჩუნებენ თუ არა ისინი ჩემპიონის წოდებას?**

— ეს ადვილი საქმე როდია. გუნდში უკვე ვიმსჯელეთ ამაზე, მოგვიხდება დაუღალავი შრომა. გვაქვს გარკვეული ნაკლიც. ეს პირველ რიგში ეხება დაცვას (საკუთარ კარში 35 ბურთის მიღება სახარბიელო რო�a). ფორვარდებმა, ჩვენი გამოთვლით, სულ ცოტა 25 პროცენტით უნდა გაზარდონ შედეგიანობა...

— **როგორ აპირებთ ამის მიღწევას?**

— თქვენთვის ცნობილია, რომ ბარქაია, მეტრეველი და დათუნაშვილი საუკეთესო ბომბარდირთა ჯგუფში შედიან. შედეგიანობით ამ „ტრიოს“ საგრძნობლად ჩამორჩებიან სხვა ფორვარდები. მესხმა, გ. სიჭინავამ და სხვებმა უნდა გააუმჯობესონ თავიანთი შედეგიანობა.

— **ამზადებთ თუ არა ტაქტიკურ სიახლეებს?**

— რა თქმა უნდა. თბილისელთა წინააღმდეგ მეტოქეთა უმრავლესობა ხუთი მცველის (ე. წ. „მწმენდავის“) სისტემით თამაშობს. ეს გარკვეულ სიძნელეებს ჰქმნის ჩვენი ოთხი თავდამსხმელისათვის. ამიტომ ზოგიერთ შეხვედრაში ჩვენ ხუთი ფორვარდით ვითამაშებთ.

— **რას იტყვით „დინამოს“ მცველთა შესახებ?**

— ვგრძნობ, თქვენ განსაკუთრებით გ. ჩოხელის ბედი გაინტერესებთ. იგი ამჟამად გუნდთან ერთად ვარჯიშობს. ითამაშებს თუ არა გივი, ამაზე პასუხს სულ მოკლე ხანში მოგვცემენ ექიმები. რაც შეეხება მ. ხურცილავას, იგი მონდომებით ემზადება მომავალი ბრძოლებისათვის. როგორც ხედავთ, დაცვაში გვიგროვდება 6-8 (ჭელიძისა და კოპინის ჩათვლით) ფეხბურთელი. მოსალოდნელია დიდი კონკურენცია. ასევეა მეკარეთა (ურუშაძე, კოტრიკაძე) მდგომარეობაც. თანაბარი სიძლიერის შემთხვევაში მეკარეები მორიგეობით (2-3 თამაშის გამოშვებით) ითამაშებენ.

— **როგორია დინამოელთა უახლოესი გეგმები?**

— დღეს ამხანაგურ საკონტროლო მატჩში ვხვდებით ხარკოვის „ავანგარდს“. 7 მარტისთვის დაგეგმილი გვაქვს კიდევ ერთი შეხვედრა.

ახალი სასნავლო-სპორტული ბაზა

აფხაზეთის თბილი ჰავა, ზღვის სიახლოვე დიდი ხანია იზიდავს სპორტსმენებს. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიან ისინი და აქ ატარებენ სხვადასხვა სასწავლო-საწვრთნელ შეკრებას.

სპორტსმენთა დაბინავებისა და კვების საკითხი ხშირად ქმნიდა სიძნელეებს. სპორტული ბაზების ნაკლებობა კი აიძულებდა საწვრთნელად ჩრდილოეთი კავკასია, ყირიმი, შუა აზიის რესპუბლიკები აერჩიათ.

დადგა საკითხი შეექმნათ აფხაზეთში სასწავლო-საწვრთნელი ბაზები. პირველი ასეთი ბაზა აშენდა ლესელიძეში. მიუხედავად იმისა, რომ აქ არის სტადიონი მძლეოსნური სექტორებით, ფეხბურთის ორი მოედანი, სპორტდარბაზი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, ლესელიძის ბაზას შეუძლია მომსახურება გაუწიოს სპორტსმენთა მხოლოდ რამდენიმე კოლექტივს.

რამდენიმე წლის წინათ სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების ცენტრალური საბჭო შეუდგა სოხუმის სასწავლო-სპორტული ბაზის მშენებლობას ემერის ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე, რომელიც ქალაქს 8 კილომეტრით არის დაშორებული. უკვე მზად არის კომფორტაბელური სამსართულიანი სასტუმრო ერთ, ორ, სამ და ოთხსაწოლიანი 40 ოთახით. აქ ერთდროულად 100 სპორტსმენი დაბინავდება. აქვეა 200-ადგილიანი სასადილოს შენობა. ბაზას აქვს მანქანების სადგომი, ორი ადმინისტრაციული სახლი, რომლებშიც მოთავსებულია კანტორა, ბიბლიოთეკა, სამედიცინო ოთახი და სხვ. დამთავრდა ფეხბურთის ორი მოედნის მშენებლობა, რომელთა ზომა 105×70 მეტრია. უკვე მზად არის ღია საფარიკაო მოედანი. შენდება სპორტული კომპლექსი მძლეოსანთათვის. აქ იქნება 400-მეტრიანი სარბენი ბილიკი, სექტორები ხტომებისათვის, ბირთვის ტვრილისათვის, კალათბურთისა და ფრენბურთის 6 მოედანი. ზღვის პირას მოეწყობა პლაჟი.

ეს ყველაფერი პირველი რიგის მშენებლობაა და მთლიანად წლის ბოლოს დამთავრდება. მეორე რიგი ითვალისწინებს 150-ადგილიანი სასტუმროს, საცურაო აუზის, ელეოტრეკის, კომბინირებული 150-ადგილიანი კინო-სპორტდარბაზის, ფეხბურთის ორი მოედნისა და იპოდრომის მშენებლობას.

აქ უკვე გაიხსნა სასტუმრო და სასადილო. უკვე ჩამოვიდნენ პირველი სტუმრები — რიგის „დაუგავას“ ფეხბურთელები და სსრ კავშირისა და „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ნაკრები გუნდების ტყვიის მსროლელები.

• • •

სურათზე: სასწავლო-სპორტული ბაზის სასტუმროს შენობა.

ტექსტი და ფოტო ვ. სემიონოვისა.

ჩაუ ვიაროთ, ჩაუ ეოვისეირეთ

ეკრანის პრემიერა

ორშაბათიდან, 1 მარტიდან დედაქალაქის ეკრანებზე გამოდის ახალი მხატვრული ფილმი **„კაცი ფოტოსურათიდან“**.

ფილმის მოქმედება ხდება სამამულო ომის დროს ოკუპირებულ ბელგრადში.

სცენარის ავტორია **დრაგოსლავ ილიჩი**, რეჟისორი — **ვლადიმერ პოგაჩიჩი**.

მთავარ როლებში მონაწილეობენ **ნიკოლა მილიჩი** და **ოლივერა მარკოვიჩი**.

„იადრანა-ფილმის“ ნაწარმოები, იუგოსლავია.

სურათზე: კადრი ფილმიდან „კაცი ფოტოსურათიდან“.

თეატრი

28 თებერვალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბებია და შვილიშვილი (ამაო სიფრთხილე) დღისით, აბესალომ და ეთერი (საღამოს, 24 თებერვალს შეძენილი ბილეთები ვარგისია 28 თებერვალს), **რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი** — ქუთათურები (დღისით, მე-4 აბონ. მე-3 წარმოდგენა), სეილემის პროცესი (საღამოს უაბონემენტოდ), **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — ჭინჭრაქა (საღამოს უაბონემენტოდ), **მარჯანიშვილის სახელობის** — ჯარისკაცის ქვრივი (დღისით, 21-ე აბონ. მე-4 წარმოდგენა), დეკემბრების ოჯახი (საღამოს უაბონემენტოდ).

ტელევიზია

28 თებერვალი

11.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.15 — ნახატი ფილმი „წუნა და წრუწუნა“, 11.35 — მხატვრული ფილმი „თოვლის დედოფალი“ (მოსწავლეთა თხოვნით), 12.50 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მატუუარა გომო“, 13.00 — ოქტომბრელთათვის სატელევიზიო ჟურნალი „ჟოჯილი“, 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — „მუსიკალური ფარდული“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.20 — საერთაშორისო მომოხილვა, 18.40 — გადაცემა ციკლიდან „ქართველი კომპოზიტორები“ — შოთა მილორავა, 19.30 — კინონარკვევი, 19.40 — გადაცემა ციკლიდან „გეფყვარდეს ჩვენი ქალაქი“, 20.00 — სპორტული გადაცემა, 21.30 — გადაცემა „რუსთაველის პრემიის ლაურეატები“, 21.55 — ტელეგადაცემათა პროგრამა 1 მარტისათვის, 22.00 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — გადმოცემა მოსკოვიდან.

1 მარტს

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — თქვენთვის, პატარებო! — „ცეროდენას ეკრანი“, 18.20 — პატარებისათვის „ფანქარას გამოფენაზე“; 18.35 — „პიონერული აქტივის ტრიბუნა“, 18.50 — გადაცემა — „თბილისის ხვალინდელი დღე“, 19.10 — კინონარკვევი, 19.30 — განცხადებები, 19.40 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის „მოწინავე გამოცდილების სკოლა“, 20.00 — კინონარკვევი, 20.20 — კონცერტი, 20.35 — ახალი ამბები, 20.55 — საბჭოთა კინოს ისტორიიდან — მხატვრული ფილმი „ცხოვრების საგზური“, 22.30 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

„კომუნისტი“ თბილისი, ლენინის 14. კომუტატორი: 8-15-00-დან. 09-მდე რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 8-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 8-46 10, განუფფალებისა: პარტიული—9-87-61, პროპაგანდის—8-22-89, მრეწველობის—8-20 48, სოფლის მეურნეობის—8-22-46 საბჭოთა შენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-35-01, ინფორმაციის — 8-16 90, უცხოეთის— 8-15 55, წერილების —